ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა: **ახალი და უახლესი ისტორია**

სოფო ბაბილოძე

გერმანიის სასკოლო სისტემა 1990-2000 წლებში

ნაშრომი შესრულებულია ისტორიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი:

ასოცირებული პროფ: ფატი შეყლაშვილი

თბილისი

2019

ანოტაცია

განათლების სისტემა ვიდრე კონკრეტულ და ჩამოყალიბებულ სახეს მიიღებს, მრავალ ცვლილებას განიცდის, ვინაიდან მხოლოდ მუდმივი განახლების პროცესში ხდება სასურველი შედეგის მიღება. საგანმანათლებლო სფეროში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი როლი სკოლას აკისრია, რომელსაც მომავალი თაობის აღზრდის და მოქალაქეობრივი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების პროცესში უდიდესი დატვირთვა გააჩნია.

ახალ გაერთიანებულ გერმანიას უდიდესი ძალისხმევა სჭირდებოდა, რამდენიმე ათწლეულის მანძილზე ორად გახლეჩილი ერის ერთ სისტემაში მოსაყვანად ყველა სფეროში. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გახდა სწორედ სასკოლო საკითხის დარეგულირება, რამდენადაც ისევე როგორც ყველა სფეროში, სასკოლო საკითხშიც იყო სერიოზული განსხვავებები, რომელიც საჭიროებდა დაუყოვნებლივ რეფორმებს.

ნებისმიერი სახელმწიფოსათვის განსაკუთრებით პრიორიტეტული და აქტუალურია განათლების სფერო. აქედან გამომდინარე ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია, სასკოლო საკითხმა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. კონკრეტულად, წარმოდგენილ ნაშრომში „გერმანიის სასკოლო სისტემა 1990-2000 წლებში“ საკვლევად ავიღეთ გაერთიანების პირველი ათწლეული, როგორც საწყისი და ყველაზე რთული ეტაპი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სასკოლო სისტემის დარეგულირების პროცესში.

XX საუკუნის 90-იან წლები პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე აღმოჩნდა გარდამავალი ეტაპი ახლად გაერთიანებული გერმანიის სასკოლო განათლების სფეროში. სწორედ ამ პერიოდში დადგა გერმანული სკოლა ახალი გამოწვევების წინაშე. მას დასჭირდა არნახული ძალისხმევა, რომ დღეს მიეღო ისეთი განათლების სისტემა, როგორიც აქვს- ერთ-ერთი საუკეთესო მსოფლიოში. ეს იმ ფონზე, როდესაც XX საუკუნეში წარმოებული ორი მსოფლიო ომი გერმანიისთვის დამანგრეველი შედეგებით დასრულდა და სასკოლო განათლება, ისევე როგორც ყველა სფერო, გარკვეული ხნით მოიშალა და დაუყოვნებლივ გარდაქმნებს საჭიროებდა. მართალია,

გერმანიის ორივე ნაწილმა თავისებურად დაარეგულირა ეს პროცესები, მაგრამ გაერთიანების შემდეგ პირველ ათწლეულში ისევ დადგნენ პრობლემების წინაშე, რაც კანონზომიერიც იყო, ვინაიდან ორი განსხვავებული სისტემის მქონე სახელმწიფო გაერთიანდა.

ამრიგად, წინამდებარე ნაშრომში განხილული იქნება შემდეგი საკითხი: იცვალა თუ არა სახე სასკოლო სისტემამ ქვეყნის გაერთიანების შემდეგ. მასში მიმოვიხილავთ გერმანიის საშუალო განათლების სფეროში 1990 წლიდან 2000 წლამდე განვითარებულ პროცესებს.

ვფიქრობთ, წარმოდგენილი საკითხი საინტერესო და აქტუალურია, ვინაიდან ქართული განათლების სისტემა დიდი გამოწვევების წინაშე დგას და მრავალი განხორციელებული რეფორმის მიუხედავად დღემდე მუდმივი განახლების და სრულყოფის პროცესშია. მიგვაჩნია, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფოს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, სასკოლო სისტემის ურთულესი პერიოდის გადასალახად წარმოებული ძალისხმევის, განხორციელებული ცვლილებებისა და გამოცდილების სრულყოფილად გაცნობა და გათვალისწინება.

Sopho Babilodze

German school system in 1990 - 2000s

Abstract

Educational system has to go through a lot of changes until it takes a certain face since a desired result might not be achieved without continuous process of renewal. School plays one of the crucial roles in the educational field which is essential to the process of educating and forming civic worldview of the future generation.

New united Germany needed to put a lot of effort into uniting all spheres of the nation into a single system, which was divided in two parts over the course of a decade. One of the most important matters was the settlement of the school issue, since in schooling, as in any other fields, there were major differences that required immediate reform. Education is the most important and priority for any state. Therefore, our attention was drawn to the school problem in the Federal Republic of Germany. In particular, in the presented work „German school system in 1990-2000s“, we examine the first decade of association as the initial and most difficult phase in the process of regulating the school system of the Federal Republic of Germany.

The 90s of the 20th century, turned out to be a transitional phase in the newly united Germany's school education because of the political situation. During this period, the German school faced new challenges. It took this country an unprecedented effort to get such educational system as it has today- and it has one of the best educational systems in the world. And this is against this background, when the two world wars held in the 20th century ended in devastating consequences for Germany and its school education, as well all other fields, fell

apart for some time, requiring immediate changes. Though both parts of Germany regulated these processes on their own way, in the first decade after the unification they still faced problems that were regularity, because a state with two different systems was united.

Thus, the following question will be discussed in this document: has the school system changed since the unification of the country? We will consider the processes developed in the field of German secondary education from 1990 to 2000.

We think the presented issue is interesting and relevant, because the Georgian educational system is facing great challenges and despite many reforms it is still in constant renewal and improvement. We consider that it would be also worth welcoming and taking into account one of the strongest states of Europe, efforts to overcome the difficult period of the school system of the Federal Republic of Germany.

სარჩევი

შესავალი 6

I თავი. გფრ-ისა და გდრ-ის სასკოლო სისტემები 1949-1990 წლებში 9

§1.1 გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სასკოლო სისტემა 1949 წლიდან 1990 წლამდე . 9

§1.2 გდრ-ის სასკოლო სისტემა 1949 წლიდან 1990 წლამდე 17

§1.3 გფრ-სა და გდრ-ის სასკოლო სისტემების შედარება, ძირითადი განსხვავებები 25

II თავი. გაერთიანებული გერმანიის საშუალო განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესები XX საუკუნის 90-იან წლებში 30

§ 2.1 სასკოლო განათლების სისტემის ცვლილება აღმოსავლეთ გერმანიაში 30

§ 2.1.1-რელიგიური სწავლება 37

§ 2.2 ბრანდენბურგის მიერ არჩეული განსხვავებული გზა 39

III თავი. რეფორმების შედეგები 44

§ 3.1 განათლების რეფორმათა ფინანსური კონტექსტი 44

§ 3.2. რა შეიცვალა 1990 წლიდან? სოციალური, საგანმანათლებლო ასპექტები 46

§ 3.3. თანამედროვე გერმანული სკოლა 51

ბიბლიოგრაფია 56

შესავალი

კვლევის საგანი და აქტუალობა. სამაგისტრო ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს გერმანიის სასკოლო განათლება 1990-2000 წლებში. ნაშრომის ძირითადი ნაწილი ეთმობა ხუთ ახალ ფედერაციულ „ლანდში“: ბრანდენბურგში, საქსონიაში, საქსონია-ანჰალტში, მეკლენბურგ-დასავლეთ პომერანიასა და ტიურინგიაში განხორციელებულ ცვლილებებს მოცემულ ათწლეულში. ნაშრომში მოკლედ არის განხილული თუ რა გზა გაიარა გერმანულმა სკოლამ და იცვალა თუ არა სახე განათლების სისტემამ ქვეყნის გაერთიანების შემდეგ.

განათლების სფეროში მიმდინარე ცვლილებები, რეფორმები, ახალი მეთოდების დანერგვა და ა.შ ყოველთვის აქტუალური საკითხია. საგანმანათლებლო სფეროს განვითარება და სრულყოფა ნებისმიერი სახელმწიფოს პრიორიტეტს წარმოადგენს. გერმანია დღეს განათლების სისტემაში ერთ-ერთ მოწინავე ქვეყანას წარმოადგენს. ამდენად, მოცემული ათწლეულის გააზრება და მთლიანობაში გერმანიის გამოცდილების გათვალისწინება, ჩვენი ქვეყნის განათლების სისტემაში მიმდინარე მოვლენების ფონზე შესაძლოა, ფრიად საყურადღებო და ანგარიშგასაწევი გამოცდილება აღმოჩნდეს.

კვლევის მოკლე მიმოხილვა. 1990 წლის 3 ოქტომბერს გერმანია კანონიერად გაერთიანდა. გარდამავალი ეტაპი, რომელიც ერთი წლით ადრე ერიხ ჰონეკერის ჩამოგდებით დაიწყო, ოფიციალურად დასრულდა, რამდენადაც გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ შეწყვიტა არსებობა. ორი თვის შემდეგ, 1990 წლის 2 დეკემბერს გერმანიის მთელმა ელექტორატმა აირჩია პირველი ერთიანი გერმანული ბუნდესტაგი. აღნიშნულმა პროცესებმა, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიის განათლების სისტემებზე, ისევე როგორც თავად ახალშობილ გერმანიაზე. ნაშრომში მოკლედ არის განხილული თუ რა გზა გაიარა გერმანულმა სკოლამ და იცვალა თუ არა სახე განათლების სისტემამ ქვეყნის გაერთიანების შემდეგ. ყურადღება გამახვილებულია 90-იანი წლების სასკოლო სისტემაზე, თუმცა განხილვა ჯერ კიდევ 1949 წლით იწყება, რადგან სწორედ ამ წელს

მოხდა ორი გერმანული სახელმწიფოს შექმნა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის. ბერლინის კედლით გამიჯნული ორი გერმანული სახელმწიფოს განათლების სისტემები განსხვავებული გზებით განვითარდა. ორი გერმანიის განათლების სფეროში მიმდინარე პროცესები ერთმანეთისგან სრულიად იყო დაშორიშორებული. ქვეყნის გაერთიანების შემდეგ საზოგადოება კვლავ აგრძელებს არსებობას. ერთი მათგანი ჩამოყალიბდა აღმოსავლეთ გერმანიის ავტოკრატული სისტემის, ხოლო მეორე დასავლეთ გერმანული დემოკრატიის პირობებში. 1990 წელს გაერთიანების პროცესის შემუშავებისა და განხორციელების დროს პოლიტიკოსებმა ყურადღება პირველ რიგში აღმოსავლეთ გერმანიის პოლიტიკური, ადმინისტრაციული, საგანმანათლებლო და ეკონომიკური ინსტიტუტების დასავლური სტანდარტებისთვის მორგებაზე გაამახვილეს.

კვლევის მიზნები და ამოცანები. სამაგისტრო ნაშრომის ძირითად მიზანს 90-იანი წლების გაერთიანებული გერმანული სკოლის სტრუქტურის გაანალიზება წარმოადგენს. ასევე ნაშრომის მიზანია თემის გარშემო არსებული სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხების გამოყოფა და გამოკვლევა.

კვლევისას გამოყენებული მეთოდები. სამაგისტრო ნაშრომის კვლევის საგანთან დაკავშირებული წყაროთა დეტალური შესწავლისა და შემდგომ პერიოდში გამოქვეყნებული კვლევებისა თუ ნაშრომების შედარებითი ანალიზის საფუძველზე საშუალება გვეძლევა გამოიყოს და განისაზღვროს თემის ირგვლივ არსებული არაერთი პრობლემური საკითხი. საკვლევ მასალათა სწორმა შერჩევამ და მათმა დეტალურმა ანალიზმა დაგვანახა პრობლემის არსი და გაგვიადვილა მათი ახლებურად გააზრება. თემის მოცულობიდან გამომდინარე, მისი ანალიზი საჭიროებს კომპლექსურ მიდგომას, რათა გაადვილდეს მისი მთლიანობაში აღქმა, ამისათვის კი გამოვიყენეთ კომპილაციური მეთოდი და სხვადასხვა სახის წყაროების პარალელური ანალიზი.

მეცნიერული სიახლე. აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომი ფაქტობრივად პირველი მცდელობაა სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანოს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა გერმანული განათლების სისტემა და სასკოლო გარემოში მიმდინარე ცვლილებები XX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში. უცხოენოვანი ლიტერატურის

(ძირითადად ინგლისური და გერმანული) შეჯერების საფუძველზე მოხდა საკითხის შესწავლა და იმ მნიშვნელოვანი კომპონენტების გამოყოფა, რომელმაც დიდი როლი შეასრულა თანამედროვე გერმანული განათლების სისტემის ჩამოყალიბებაში.

წყაროთმცოდნეობითი ბაზა. ჩვენი კვლევისათვის ძირითადად დაგვჭირდა გერმანული, რუსული და ინგლისურ ენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა. მათ შორის უნდა გამოიყოს: David Phillips - Education in Germany (Tradition and reform in historical context), ამავე ავტორის რედაქტორობით - Education in Germany since unification. გარდა ამისა ნაშრომში მოცემული და განხილული თემის ირგვლივ არსებული საკითხების ანალიზისთვის, ასევე, გამოყენებულია სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული არაერთი სტატია. მაგალითად: Oxford Review of Education: Educational Reform in West and East Germany in European Perspective, Secondary Education in Germany 1990-2000: 'One Decade of Non-Reform in UnifiedGerman Education'?.

European Sociological Review: Educational Stratification and Social Change: Evidence from German Unification.

Sociology of Education: Educational Systems and Rising Inequality: Eastern Germany after Unification.

საკვლევი თემისათვის მეტად საიტერესოა და თემის კვლევის სისრულისათვის აუცილებელიცაა გერმანული წყაროები: Schullandschaft im Umbruch. Gesetzliche Regelungen für das allgemeinbildende Schulwesen in den neuen Bundesländern, Martini, Renate. Frankfurt am Main : Deutsches Institut für Internationale Pädagogische Forschung 1992, 52 S.

Berufsbildende Schulen in den ostdeutschen Ländern am Neuanfang Eine Untersuchung zum Transformationsprozess am Beispiel der Oberstufenzentren im Land Brandenburg in den 1990er Jahren. Dieter Hölterhoff.

ჩვენს ხელთ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა, სტატიები და ა.შ. დაგვეხმარა ნათლად დაგვენახა გაერთიანებული გერმანული სკოლის გამოწვევები, სასკოლო სისტემაში მიმდინარე მოვლენები 1990-2000 წლებში.

I თავი. გფრ-ისა და გდრ-ის სასკოლო სისტემები 1949-1990 წლებში

§1.1 გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სასკოლო სისტემა 1949 წლიდან 1990 წლამდე

მოცემული ნაწილის მიზანია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 1949-1990 წლებში, სასკოლო განათლების სფეროში მიმდინარე მოვლენების განხილვა და მომხდარი გარდაქმნების დახასიათება. შეუძლებელია განვიხილოთ 1990- 2000 წლებში საგანმანათლებლო სფეროში მიმდინარე პროცესები თუკი ჩვენ არ გვეცოდინება წინარე პერიოდი. გერმანიაში სასკოლო განათლება განსაკუთრებით გამოწვევების წინაშე დადგა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ის უნდა გამოსულიყო იმ მკაცრი იდეოლოგიზირებული მდგომაროებიდან, რომელშიც აღმოჩნდა XX საუკუნის 30-იან წლებში. ნაცისტური იდეოლოგიის ძლიერი გავლენის დამარცხება საგანმანათლებლო სისტემის მთავარი ამოცანა გახდა და სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენდა გფრ-ის სოციალ-პოლიტიკური წრეებისთვის. შემთხვევით არ უთქვამს კარლ გეილერს, [1] 1946 წელს, რომ *„გერმანელების წინაშეა საგანმანათლებლო ამოცანები... ჩვენ ხელახლა უნდა წარმოვადგინოთ ფსიქოლოგიური და ინტელექტუალური ჩამოყალიბება.“* [2]

1945-1949 წლებში განვითარებულმა პოლიტიკურმა პროცესებმა და დიდი სახელმწიფოების დაპირისპირებამ გამოიწვია ქვეყნის გაყოფა 2 ნაწილად. ორი გერმანული სახელმწიფოს განვითარებამ განსხვავებული პოლიტიკური და სოციალური მოდელით, თავისი ასახვა ჰპოვა გერმანული სკოლის სისტემაზეც. სწორედ ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია განვიხილოთ თუ რა გზა გაიარა დასავლეთ გერმანულმა სკოლამ 1949 წლიდან 1990 წლამდე. თუმცა მანამდე, აუცილებელია მიმოვიხილოთ თუ რამ გამოიწვია გერმანიის გაყოფა.

მსოფლიო ომმა მთლიანად შეცვალა მსოფლიოს პოლიტიკური სახე. ომის შემდეგ, მოკავშირეებს სსრკს, აშშსა და დიდ ბრიტანეთს შორის გამწვავდა

[1] გერმანელი პოლიტიკოსი და სამართალმცდონე
[2] Christoph Fuhr. The German education system since 1945, Bonn. 1997, p: 8.

ურთერთობები. აშშ და სსრკ, ეს ორი სახელმწიფო ერთმანეთს უყურებდნენ როგორც კონკურენტებს, მსოფლიოს ბატონობისთვის ბრძოლაში. საბოლოოდ აღნიშნულმა დაპირისპირებამ ორ ზესახელმწიფოს, საბჭოთა კავშირსა და აშშ-ს შორის გამოიწვია ე.წ. „ცივი ომი“. დაპირისპირების ობიექტად დიდ სახელმწიფოებს შორის იქცა გერმანია, რომელიც ოთხ საოკუპაციო ზონად დაიყო, საბჭოთა, ამერიკულ, ფრანგულ და ბრიტანულ ზონებად. ქვეყნის დედაქალაქი, ბერლინი, ამავე პრინციპით იყო დაყოფილი. 1946 წლის 28 ივლისს, აშშ-მა ზონების გაერთიანების იდეა წამოაყენა, რომელზეც იმ ეტაპისთვის მხოლოდ ბრიტანეთი დათანხმდა. შედეგად იმავე წლის დეკემბერში, ამერიკული და ბრიტანული ზონების გაერთიანებით, გერმანიის ტერიტორიაზე შეიქმნა ე.წ „ბიზონია“. ორი წლის შემდეგ ფრანგული ზონაც შეუერთდა, რის შედეგად ტერიტორიას „ტრიზონია“ ეწოდა. დასავლეთელ მოკავშირეთა მცდელობის შედეგად ამ ტერიტორიაზე შეიქმნა ერთიანი გერმანული ადმინისტრაცია. შემდეგ ამას დაემატა, 1948 წელს ფინანსური რეფორმის გატარება გერმანიის დასავლურ ზონაში. აღნიშნულმა რეფორმამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა დასავლეთ გერმანიაში მცხოვრები მოსახელობის მდგომარეობა. ყოველივემ გამოიწვია საბჭოთა მხარის უკმაყოფილება, რადგან მოითხოვდა რეფორმის მთლიანად გერმანიის ტერიტორიაზე გატარებას. სიტუაცია განსაკუთრებით გამწვავდა მას შემდეგ, რაც ახალი მარკა გავრცელდა დასავლეთ ბერლინზეც. შედეგად, 1948 წელს დაიწყო ე.წ. „ბერლინის კრიზისი“ . შეიზღუდა მიმოსვლა აღმოსავლეთ და დასავლეთ ბერლინს შორის. საბოლოო ჯამში, კრიზისის დარეგულირება ვერ მოხერხდა. 1949 წლის 8 მაისს დასავლური ზონების საპარლამენტო საბჭოს მირ მიღებულ იქნა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონი. 1949 წლის 7 ოქტომბერს კი საბჭოთა ზონაში შეიქმნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა.[3]

ამრიგად, 1949 წლის შემდეგ ქვეყნის გაყოფასთან ერთად, მკვეთრად გაიმიჯნა დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიის განათლების სისტემები. მეორე მსოფლიო ომის დასრულება კი მთავარი გამომწვევი მიზეზი გახდა ამ განსხვავების. გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ განათლების სისტემის მაგალითი აიღო ვაიმარის

[3] John Lewis Gaddis. The cold war A new history, New York 2005,p:27,28

რესპუბლიკიდან. დასავლეთ გერმანიის შექმნის შემდეგ, 1950-იანი წლების დასაწყისში, ვაიმარის რესპუბლიკის საგანმანათლებლო დაწესებულებების ორგანიზაციული სტრუქტურა ფაქტობრივად ყოველგვარი ცვლილებების გარეშე იქნა მიღებული. შესაბამისად, ფედერაციულ „ლანდებში“ დამკვიდრდდა სასკოლო განათლების სამსახოვანი სტრუქტურა, Gymnasium- უმაღლესი საშუალო სკოლა, Realschule- საშუალო სკოლა, Hauptschule-დაბალი საშუალო სკოლა. [4] გერმანიის ფედერაცულ რესპუბლიკაში, განათლების სისტემის თავისებურებებს განსაზღვრავდა რესპუბლიკის ძირითადი კანონი, რომელიც 1949 წელს გფრ-ის დაარსებასთან ერთად შევიდა ძალაში. საგანმანათლებლო სფეროზე მთავარი პასუხისმგებლობა სწორედ სახელმწიფოს ეკისრებოდა. ძირითადი კანონის VII სტატიით სრულად იყო განსაზღვრული სახელმწიფოს როლი განათლებაში. *„მთელი სკოლის სისტემა სახელმწიფო ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება.“*[5]

აღსანიშნავია, რომ დასავლეთ გერმანიის განათლების სისტემის მთავარი მახასითებელი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იყო სტაბილურობისკენ სწრაფვა, რამაც დაამკვიდრა კონსერვატული მიდგომა და საგანმანათლებლო სტრუქტურების უცვლელად დატოვება. სწორედ ამ საკითხზე გაამახვილეს ყურადღება რობინსონმა და კიულმანმა თავიანთ ცნობილ ესეში სახელწოდებით „ არშემდგარი რეფორმების ორი ათწლეული დასავლეთ გერმანიის განათლების სისტემაში“ (1967წ), ისინი აღნიშნავდნენ რომ დასავლეთ გერმანიის განათლების სისტემა საჭიროებდა ცვლილებებს, თუმცა აქვე აღნიშნავდნენ , რომ გერმანიის პოლიტიკური სისტემის უძლურებას, რადგან მათ ვერ შეძლეს განეხორციელებინათ საგანმანათლებლო სექტორის რეფორმა იმდროინდელი ინდუსტრიალიზებული ქვეყნის მოთხოვნის შესაბამისად.[6]

ჩვენ ვიზიარებთ, მათ მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რადგანაც XX საუკუნის 50-იან წლებში გფრ-ში დაიწყო აქტიური დისკუსია ე.წ. „სკოლის ქაოსის“ ირგვლივ. ეს

[4] Wolfgang Mitter. Educational Reform in West and East Germany in European Perspective, Oxford Review of Education, Vol. 16, No. 3 (1990), pp. 333-341, p: 1,2,3.
[5] Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland. Ein Service des Bundesministeriums der Justiz und für Verbraucherschutz sowie des Bundesamts für Justiz – www.gesetze-im-internet.de, Ausfertigungsdatum: 23.05.1949.
[6] David Phillips. Education in Germany, Tradition and reform in historical context. Routledge, London and New York- 1995, p: 15,16,17,18

გასაგებიცაა, რადგან განათლების სისტემა, დასავლეთ გერმანიის სოციალურ-ეკონომიკური წესრიგის განუყოფელ კომპონენტად იქცა იმ დროისთვის. აქვე ავღნიშნავთ იმასაც, რომ განათლების სფეროში მიმდინარე პროცესებს მეთვალყურეობდა განათლების მინისტრთა კონფერენცია. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა ყველა ფედერალური მიწის განათლების მინისტრი. 1955 წლის თებერვალში, დიუსელდორფში, შეიკრიბა ეს კონფერენცია რათა გადაეწყვიტათ გფრ-ის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების რეფორმასთან დაკავშრებული საკითხები, თუმცა დიუსელდორფის შეთანხმებამ რეალურად ვერ მოახერხა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილების შეტანა სასკოლო სტრუქტურებში. ამ შეთანხმებით განისაზღვრა რამდენიმე დატალი, რომელიც ეხებოდა გამოცდების დანიშვნას სკოლებში, საზაფხულო არდადეგების განსაზღვრას და ა.შ. [7]

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დაარსების მომენტიდან სასკოლო განათლება შესამჩნევ ადგილს იკავებდა პოლიტიკურ დებატებში, ეს დისკუსია, როგორც უკვე ავღნიშნეთ 50-იანი წლებიდან იწყება და განსაკუთრებით გამწვავდა XX საუკუნის 60-იანი წლებიდან, რადგანაც მოსახლეობის ფართო ფენებში და პოლიტიკურ წრეებშიც სულ უფრო აქტუალური ხდებოდა მოთხოვნა სკოლის რეფორმასთან დაკავშირებით. კერძოდ კი უკმაყოფილებას იწვევდა ვაიმარის რესპუბლიკის პერიოდში შექმნილი სასკოლო სტრუქტურის უცვლელად გადმოტანა. ამასთან გვინდა დავამატოთ, ის მოსაზრება, რომელსაც გამოთქვამდა განათლების მინისტრთა კონფერენცია. მათ 1963 წელს გამოაქვეყნეს დასკვნა, სადაც აღნიშნული იყო, რომ XX საუკუნის 70-იან წლებში გფრ-ში შეიქმნებოდა მასწავლებელთა დეფიციტი, რადგან დასავლეთ „ლანდებში“ მოსწავლეთა რაოდენობა სწრაფად იზრდებოდა დემოგრაფიული ზრდის პერიოდში, („ეკონომიკური სასწაულის“ წლებში). [8] ვფიქრობთ, რომ აღნიშნულმა კონფერენციამ სწორად გაამახვილა ყურადღება ამ საკითხზე. ყურადღებას იქცევს ასევე, 1963 წელს ფედერალური კანცლერის ლუდვიგ ერჰარდის სიტყვები: *„გერმანელმა ხალხმა უნდა*

[7] Christoph Fuhr. დასახელებული ნაშრომი, გვ: 12, 13

[8] Полуянова Татьяна Александровна. Становление и развитие системы школьного образования образования обьединенной Германии. Диссертация на соискание ученой степени кандидата педагогических наук, Ульяновск 2002, გვ : 75

შეიგნოს, განათლებისა და მეცნიერების სფეროში არსებული ამოცანები დღეს ისეთივე სერიოზულობისაა, როგორც სოციალური საკითხები XIX საუკუნეში". [9] კანცლერის ეს სიტყვები მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო მაშინდელი ფედერალური მთავრობისთვის საგანმანათლებლო პრობლემები და მათი გადაწყვეტა.

დიუსელდორფის შეთანხმების შემდეგ, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, მეორე მნიშვნელოვანი შეთანხმება შედგა ჰამბურგში, 1964 წელს. აქ შეიკრიბა განათლების 11 ფედერალური მინისტრი. ჰამბურგის შეთანხმება ერთგვარ ქვაკუთხედად იქცა საგანმანათლებლო სფეროში. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რადგან ეს ნორმები, რომელიც დაადგინეს განათლების მინისტრებმა დღემდე მოქმედია. [10] ჩვენ რამდენიმე მათგანზე გავამახვილებთ ყურადღებას. პირველ რიგში ხელახლა განისაზღვრა ისეთი ტიპის სკოლები როგორიცაა „Grundschule", (დაწყებითი სკოლა) „Hauptschule", „Realschule", და „Gymnasium". ასევე ამ შეთანხმებით დარეგულირდა გამოცდების აღიარება, შეფასების დონის დადგენა და ექსპერიმენტული სწავლების ორგანიზება. ჰამბურგის შეთანხმებამ ფედერალურ მიწებს შეინარჩუნა მოქმედების თავისუფლება. მათ შეეძლოთ გაეგრძელებინათ თავიანთი სასკოლო სისტემები ფედერალური წესრიგის ფარგლებში. განმტკიცდა 9 წლიანი სასკოლო განათლება. მართებული იქნება ყურადღება გავამახვილოთ ერთ საკითხზე. ჰამბურგის შეთანხმებით პირველი უცხო ენა შეიძლებოდა ყოფილიყო ფრანგული ან ლათინური. ეს კი ცვლიდა დიუსელდორფის შეთანხმების გადაწყვეტილებას, სადაც დადგინდა, რომ პირველ უცხო ენად მოსწავლეებს უნდა შეესწავლათ ინგლისური. [11]

თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჰამბურგის შეთანხმება ითვლებოდა გფრ-ის განათლების სისტემის ერთ-ერთ მთავარ საფუძვლად.

ამრიგად, XX საუკუნის 60-იანი წლებიდან ჩვენ გერმანული სკოლა წარმოგვიდგება შემდეგი სახით:

---

[9] Полуянова Татьяна Александровна. დასახელებული ნაშრომი, გვ: 77

[10] Christel Kesler. Educational Stratification and Social Change: Evidence from German Unification, European Sociological Review, Vol. 19, No. 5 (Dec., 2003), pp. 467-482, p: 2

[11] David Phillips. Education in Germany, p: 171, 172

- Grundschule - დაწყებითი სკოლა, აქ მოსწავლეები 4 წლის განმავლობაში სწავლობდნენ.
- V-VI კლასები, იყო შემდეგი საფეხური, რომელსაც საორიენტაციო დონე ეწოდებოდა.
- Hauptschule - მას შეიძლება დაბალი საშუალო სკოლა ვუწოდოთ, რადგანაც დაწყებითი სკოლის მომდევნო ეტაპი იყო. ჰამბურგის შეთანხმებით ის მთავრდებოდა IX კლასით. „Hauptschule"-ეს სერტიფიკატი მოსწავლეს საშუალებას აძლევდა სწავლა გაეგრძელებინა პროფესიულ სასწავლებელში. (დასავლეთ ბერლინში, ბრემენსა და ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიაში ეს სკოლა 10 კლასიანი პროგრამით იყო წარმოდგენილი)
- Realschule - საშუალო სკოლა, ის მოიცავა V-X ან VII-X კლასებს. ეს სკოლა განსხვავებით Hauptschule-სგან, მოსწავლეს უფრო ფართო ზოგად განათლებას სთავაზობს. ასევე კარს უხსნის პროფესიული კურსებისკენ ან უნივერსიტეტისკენ. სკოლის ეს სახეობა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა შლეზვიგ-ჰოლშტაინში, ქვემო საქსონიასა და ჰესეში, ხოლო სამხრეთ გერმანულ „ლანდებში", ბავარიასა და ბადენ-ვუტემბერგში XX საუკუნის 50 იანი წლებიდან.
- Gymnasia - უმაღლესი საშუალო სკოლა. უზრუნველყოფს მოსწავლემ მიიღოს საჭირო ცოდნა პროფესიული სწავლისთვის და უნივერსიტეტისათვის. ის იძლევა უნივერსიტეტში ჩაბარების შესაბამის ატესტატს, ე.წ. აბიტურს. ფედერალურ მიწებზე გიმნაზიაში სწავლის ხანგრძლივობა 13 წელი იყო, რაც ასევე ჰამბურგის შეთანხმებით იყო განსაზღვრული. [12]

სკოლის ეს სტრუქტურა მყარად დამკვიდრდდა ფედერაციულ გერმანიაში. აღსანიშნავია, რომ ქრისტიან-დემოკრატიული პარტია სიმპატიებით იყო განწყობილი ზემოთ აღნიშნული სკოლის ორგანიზაციით.

[12] Christoph Fuhr. დასახელებული ნაშრომი, გვ: 118, 119, 120, 121.

ერთი შეხედვით შესაძლოა ვიფიქროთ, რომ დარეგულირდა სასკოლო განათლებაში მიმდინარე დებატები, მაგრამ XX საუკუნის 70-იანი წლებიდან კვლავ განახლდა. ამჯერად, ახალი იდეები წამოიჭრა და არა მხოლოდ წამოიჭრა, განხორციელდა კიდეც.

1969 წელს არჩევნები სოციალ-დემოკრატების გამარჯვებით დასრულდა და მათ თავისუფალ დემოკრატებთან ერთად შექმნეს ე.წ. „სოციალ-ლიბერალური კოალიცია". კანცლერის პოსტი დაიკავა ვილი ბრანდტმა რომელმაც, 28 ოქტომბერს აღნიშნა რომ „განათლების სისტემა დგას ყველა რეფორმის თავში, რომელიც ჩვენ უნდა გავატაროთ". ახალმა მთავრობამ დიდი ცვლილებების გატარება დაიწყო, მათგან ერთ-ერთი და უმნიშვნელოვანესი კი განათლების რეფორმა იყო. 1969 წლამდე დასავლეთ გერმანიაში არ არსებობდა ფედერალური განათლების სამინისტრო, რადგან განათლება ფედერალური იურისდიქციის ქვეშ იყო. ფედერალური განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (Bundesministerium fur Bildung und Wissenschaft) დაარსდა „დიდი კოალიციის მთავრობის მიერ - (SPD / CDU / CSU) 1969 წლის შემოდგომაზე. პირველი ფედერალური განათლების მინისტრი გახდა უპარტიო ჰანს ლუსინკი.[13] ის იყო კარლსრუეს უმაღლესი ტექნიკური სკოლის რექტორი, დასავლეთ გერმანული კონფერენციის უმაღლესი სასწავლებლების რექტორი, სამეცნიერო საბჭოს წევრი და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა.[14]

რაც შეეხება მაშინდელი ფედერალური მთავრობის მიზნებს განათლების სფეროსთან დაკავშირებით. დაიწყო ძირითადი საკითხების შემუშავება , რომელიც უნდა განხორციელებულიყო სკოლებში. პრესაში გამოჩნდა სამი პროგრამული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავდა ქვეყნის ძირითად საგანმანათლებლო რეფორმას შემდგომი წლებისთვის: „განათლების სისტემის სტრუქტურული გეგმა" , (თებერვალი 1970წ), „მოხსენება ფედერალური მთავრობის პოლიტიკის შესახებ განათლების სფეროში"

[13] გერმანელი მასწავლებელი და პოლიტიკოსი, 1969-1972 წლებში იყო გფრ-ის განათლების მინისტრი.
[14] Christoph Fuhr. დასახელებული ნაშრომი, გვ: 55

(ივნისი, 1970 წ) და „განათლების სისტემის განვითარების საერთო გეგმა“ (ივნისი 1973 წ). [15]

ამ დოკუმენტების მიხედვით, დასავლეთ გერმანიის სახელმწიფოს საგანმანათლებლო პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანი იყო დემოკრატიული, ეფექტური და მოქნილი განათლების სისტემის შექმნა, ერთიანი განათლების სისტემის მოდელის შემუშავება. გათვალისწინებული იყო ასევე „Gymnasium“-ის, „Realschule“-სა და „Hauptschul“-ის გაერთიანება, სავალდებულო 10 წლიანი სწავლებით, დაეყოთ მოსწავლეთა სწავლება შესაბამის ასაკობრივ ჯგუფებად, მიეღოთ სიმწიფის ატესტატი უმაღლესში შესასვლელად. საერთო სკოლა გახდა ძირითადი რგოლი XX საუკუნის 70-იანი წლების რეფორმის. რეფორმას, ხელმძღვანელობდა სოციალ-დემოკრატიული პარტია. [16]

და მაინც, რას ითვალისწინებდა რეფორმა? ის ითვალისწინებდა საერთო სკოლის შექმნას, ე.წ. „Gesamtschulen“- ის, სადაც მოხდებოდა ტრადიციული სამსახოვანი სტრუქტურის გაერთიანება, მაგრამ მალე სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდა კონსერვატორული ქრისტიან-დემოკრატიული პარტიისგან. მათ თავიდანვე მტრული პოზიცია დაიკავეს საერთო სკოლებთან დაკავშირებით. ქრისტიან დემოკრატიული პარტიის ლიდერმა ჰელმუტ კოლმა, მოგვიანებით კი გფრ-ის კანცლერმა 1982-1998 წლებში, საერთო სკოლებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ *„ის არ უზრუნველყოფს ისეთ თავისუფალ განვითარებას როგორც ეს ხდება გიმნაზიებში, არ სტიმულირებს ნიჭსა და უნარის გახსნას მოსწავლეებში. მათში ბავშვები გადატვირთულია, იტანჯებიან სტრესისგან, შიშისგან და ა.შ.“* ეს უკანასკნელი თავის მხრივ სამსახოვანი სტრუქტურის შენარჩუნების მომხრედ გამოდიოდა. მიუხედავად წინააღმდეგობისა 60-იანი წლების ბოლოს და 70- იანი წლების დასაწყისში, გამოჩნდა პირველი საერთო სკოლები დასავლეთ ბერლინში და რამდენიმე ფედერალურ მიწაზე.[17]

---

[15]Полуянова Татьяна Александровна. დასახელებული ნაშრომი. გვ: 79

[16] David Phillips. Education in Germany, Tradition and reform in historical context, p: 45

[17] Christoph Fuhr. დასახელებული ნაშრომი, გვ: 125, 126

მიგვაჩნია, რომ საერთო სკოლა გახდა პასუხი, კონსერვატიული განათლების სისტემის მკაცრ კრიტიკაზე. 70-იანი წლების დასავლეთ გერმანიის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ამ სკოლამ ერთ-ერთი მთავარი ადგილი დაიკავა. საერთო სკოლების გახსნა დასავლეთ გერმანიაში ჩქარი ტემპებით ხორციელდებოდა. მაგალითად, 1970 წელს იყო 13, ორი წლის შემდეგ უკვე 80, ხოლო 1974 წლის ბოლოს 168 ასეთი სკოლა ფიქსირდებოდა.

ამრიგად, შეიქმნა სკოლის ახალი ტიპი. მიუხედავად იმისა, რომ 1982 წელს ბუნდესტაგის არჩევნებში ქრისტიან-დემოკრატებისა და თავისუფალი- დემოკრატების კოალიციამ გაიმარჯვა, საერთო სკოლა მაინც შენარჩუნდა ფედერაციულ მიწებზე, უფრო მეტიც იმავე წლიდან მისი დამთავრების სერტიფიკატი აღიარებულ იქნა დასავლეთ გერმანიის ყველა ფედერალურ სახელმწიფოში. [18]

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ 50-იანი წლებიდან დაიწყო სკოლის რეფორმის გატარებაზე პირველი დისკუსიები, 60-იან წლებში ეს დაბატები უფრო მეტად აქტუალური გახდა. ამ პერიოდში დარეგულირდა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი სასკოლო სტრუქტურის, ხოლო 70-80 იან წლებში საგანმანათლებლო რეფორმა ნამდვილად გატარდა, რაც სკოლის ახალი ტიპის შექმნაში გამოიხატა, მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობისა.

ასეთი სახით მივიდა გერმანიის ფედერალური სკოლა 1990 წლამდე.

§1.2 გდრ-ის სასკოლო სისტემა 1949 წლიდან 1990 წლამდე

ნაშრომის წინა პარაგრაფში კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, შევეხეთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სასკოლო სისტემის განვითარებას და ასევე ვისაუბრეთ თუ როგორ მოხდა გერმანიის ორ ნაწილად გაყოფა. ამჯერად, ჩვენი ამოცანაა დავახასიათოთ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სასკოლო სისტემა, შექმნიდან 1990 წლამდე.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა შეიქმნა საბჭოთა კავშირის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, 1949 წლის 7 ოქტომბერს. გდრ-ში მმართველ ძალას

[18] Полуянова Татьяна Александровна. დასახელებული ნაშრომი. გვ: 79, 80

წარმოადგენდა, „გერმანიის სოციალისტური ერთიანობის პარტია“ (SED), რომელიც 1946 წელს დაარსდა. პარტიამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რადიკალურად შეცვალა აღმოსავლეთ გერმანიის განათლების სისტემა.

„მმართველი სოციალისტური პარტიის“ ამოცანა იყო შეექმნათ ახალი პოლიტიკური კულტურა, განათლების სისტემა კი მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი იყო. აღმოსავლეთ გერმანიაში სოციალისტური რეჟიმის დამყარებას მოჰყვა განათლების სისტემის თანმიმდევრული კორექტირება პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ძალად.

საბჭოთა ზონაში განათლების სისტემის გარდაქმნაზე მუშაობა ჯერ კიდევ 1945 წლიდან დაიწყო. ამის ნათელი მაგალითია, 1945 წლის ივლისში, საბჭოთა სამხედრო ხელისუფლების მიერ „გერმანიის ეროვნული განათლების ცენტრალური ადმინისტრაციის“ დაარსება ბერლინში.[19] უაღრესად მნიშვნელოვანია ავღნიშნოთ, რომ საბჭოთა ხელისუფლების აქტიური დახმარებით, 1945 წლის ბოლოს გერმანული სკოლებისთვის 4 მილიონზე მეტი წიგნი მოამზადეს, რა თქმა უნდა, ეს სახელმძღვანელოები მათ მიერვე იყო თარგმნილი. [20] 1946 წელს ბერლინის ცენტრალურმა ადმინისტრაციამ გამოაქვეყნა „კანონი გერმანული სკოლის დემოკრატიზაციის შესახებ“, რომელიც გახდა დასაბამი „ლანდების“ საერთო საკანონმდებლო ნორმებისთვის. ეს კანონი იურიდიულად ამტკიცებდა ახალ სტრუქტურას სახალხო განათლების სისტემის. [21] თავისთავად ზემოთ აღნიშნული პროცესები წარმოადგენდა შესავალს, ერთგვარ წინასწარ სამზადისს სასკოლო განათლების ცვლილებისთვის. 1949 წელი კი აღმოჩნდა გამყოფი წერტილი, საიდანაც იწყება აღმოსავლეთ გერმანული სკოლის ახალი ისტორია. ნამდვილად ირონიულია, როგორ გაადააქციეს სკოლა ნაცისტურიდან სოციალისტურ იდეოლოგიურ სისტემად.

ახლა კი განვიხილოთ უშუალოდ ის პროცესები, რომელიც დაიწყო გდრ-ის შექმნასთან ერთად. სკოლის პოლიტიკის ძირითად მიზნებს კონსტიტუცია

---

[19] Christoph Fuhr. დასახელებული ნაშრომი, გვ: 12

[20] Полуянова Татьяна Александровна. დასახელებული ნაშრომი, გვ: 49

[21] David Phillips. Education in Germany, Tradition and reform in historical context, p: 260

განსაზღვრავდა. ვფიქრობთ, აუცილებელია გამოვყოთ ის ძირითადი მუხლები, რომლებიც განათლების სფეროს შეეხებოდა. 1949 წლის 7 ოქტომბრის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში, 35-ე სტატიაში ვკითხულობთ: *„ყოველ მოქალაქეს აქვს თანაბარი უფლება განათლებაზე და თავისუფალი არჩევანი პროფესიაზე.“* იმავე კონსტიტუციის 38-ე მუხლის I ქვეთავი კი განსაზღვრავდა განათლების სისტემის სტრუქტურას: *„საყოველთაო განათლება აუცილებელია 18 წლამდე ასაკის ყველა ადამიანისთვის. სავალდებულო დაწყებითი სკოლის დასრულების შემდეგ, სწავლა გრძელდება ტექნიკურ სკოლაში, საშუალო სკოლაში და სხვა საჯარო დაწესებულებებში. პროფესიული სკოლის დასწრება ყველა მოზარდის მოვალეობაა 18 წლის ასაკში, თუ ისინი არ დაესწრებიან სხვა სკოლას. კერძო სკოლები საზოგადოებრივის ნაცვლად დაუშვებელია.“* [22] ამავე კონსტიტუციით უზრუნველყოფილი იყო განათლების უფლება ბავშვისთვის, განურჩევლად მათი რწმენისა, წარმომავლობისა, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობისა. ერთი შეხედვით დემოკრატიული პრინციპების დაცვით იყო თითქოს შედგენილი ეს დოკუმენტი, მაგრამ გდრ-ი იყო სწორედაც რომ ის სახელმწიფო, რომელიც ყველა მოქალაქეს თანაბრად არ სთავაზობდა განათლებას, მიუხედავად 35-ე მუხლისა. ჩვენთვის საინტერესო ავტორი, ქრისტენ კესლერი მართებულად შენიშნავს, რომ იმ მშობლების ბავშვები, რომლებიც ლოიალურად იყვნენ განწყობილი არსებული რეჟიმის მიმართ და იყვნენ კომუნისტური პარტიის წევრები, სარგებლობდნენ პრივილეგიით. სისტემა განასხვავებდა ბავშვებს საკუთარი და მშობლების პოლიტიკური პოზიციისა და აქტიური სოციალური ცხოვრების მიხედვით. ასე რომ, კონსტიტუციაში აღნიშნული დებულებები მხოლოდ ფორმალობის მიზნით იყო შექმნილი. სწავლება რეალურად სხვა შინაარსზე, კერძოდ კი მარქსისტულ-ლენინური სწავლების იდეოლოგიაზე იყო დაფუძნებული. [23]

[22] Verfassung der Deutschen Demokratischen Republik, 7. Oktober 1949. Quelle: http://1000dok.digitale-sammlungen.de/dok_0232_ddr.pdf Datum: 23. Juli 2018 um 23:27:41 Uhr CEST.© BSB München

[23] Christel Kesler - Educational Stratification and Social Change: Evidence from German Unification, European Sociological Review, Vol. 19, No. 5 (Dec., 2003), pp. 467-482, P: 470.

1949 წელს შეიქმნა განათლების ეროვნული სამინისტრო, რომელიც პასუხისმგებელი იყო სკოლებსა და უმაღლეს დაწესებულებებზე. ტიურინგია, საქსონია, საქსონია-ანჰალტი, ბრანდენბურგი და მეკლენბურგი დაქვემდებარებულის როლში აღმოჩნდნენ. [24] ამრიგად, ამ მცირე მონაკვეთში, ვგულისხმობთ 1945-49 წლებს, მოხდა ადმინისტრაციულად განათლების სისტემის რეორგანიზაცია და დაქვემდებარება საბჭოთა ხელისუფლებისთვის. გდრ-ის განათლების სისტემა გახდა მკაცრად ცენტრალიზებული. სკოლის რეფორმის გაგრძელება გახდა ახალგაზრდა სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი კულტურულ-პოლიტიკური ამოცანა.

საბოლოოდ, 50-იანი წლებიდან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაიწყო ჩამოყალიბება ე.წ. „გაერთიანებული დემოკრატიული სკოლის." 1959 წელს გდრ-ის სახალხო პალატამ მიიღო მნიშვნელოვანი „კანონი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სკოლის განათლების სოოციალისტური განვითარების შესახებ" , რომელმაც განსაზღვრა სტრუქტურულად განათლების სისტემა:

- სკოლამდელი აღზრდა: (საბავშვო ბაღი);
- დაწყებითი სკოლა: (Grundschule, 1 დან 8 კლასამდე);
- საშუალო სკოლა, 9-დან 12 კლასამდე, საღამოს სკოლები, სპეციალური კურსები ზრდასრულთა განათლებისთვის განკუთვნილ კოლეჯებში (აუცილებელი კვალიფიკაციის მიღება უნივერსიტეტში ჩასარიცხად შესაძლებელი იყო ამ სკოლებსა და ტექნიკუმებში);
- უმაღლესი განათლების დაწესებულებები (უნივერსიტეტი). [25]

როგორც ვხედავთ, დაწყებითი და საშუალო საფეხურის კლასების გარდაქმნა მოხდა, რის შედეგად გდრ-ში მიიღეს ზოგადსაგანმანათლებლო ძირითადი სკოლა 8 წლიანი სწავლებით. 1959 წელს 8 წლიანი დაწყებითი სკოლა, ე.წ. „Grundschule" გარდაიქმნა 10 კლასისგან შემდგარ ზოგადი განათლების პოლიტექნიკურ საშუალო სკოლებად (allgemeinbildende polytechnische Oberschule – POS). 1959-1962 წლებში პოლიტექნიკური სწავლება გახდა განუყოფელი ნაწილი გდრ-ში სასწავლო-

[24] David Phillips. Education in Germany, Tradition and reform in historical context, p: 260

[25] David Phillips. Education in Germany , Tradition and reform in historical context, p: 261

სააღმზრდელო პროცესისთვის. მომდევნო საფეხური სკოლის იყო „Erweiterte Oberschule“, რომელსაც შეგვიძლია ვუწუდოთ გახანგრძლივებული საშუალო სკოლა. აქ XII კლასით სრულდებოდა სწავლება. აღნიშნულ საშუალო სკოლაში გამოცდების ჩაბარების შემდეგ, მოსწავლეები იღებდნენ უმაღლეს სასწავლებელში მოხვედრისათვის აუცილებელ ატესტატს. [26] ამ უკანასკნელთან დაკავშირებით, საჭიროდ მივიჩნევთ დავამატოთ, რომ ამ საფეხურზე მოსახვედრად მოსწავლეს უხდებოდა მკაცრი აკადემიური და იდეოლოგიური პროცედურების გავლა. გერმანიის განათლების სისტემის მკვლევარი, სტეფანი უაილდი აღნიშნავს, რომ ამ სახის სკოლებში მიღება შეზღუდული იყო. [27] შერჩევის კრიტერიუმები არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ აკადემიური მიღწევებით. ყურადღება ექცეოდა მოსწავლეთა სოციალურ აქტივობას სკოლებში. ამ შემთხვევაში ჩვენ ვგულისხმობთ იმ ახალგაზრდულ ორგანიზაციებს, რომლებიც შექმნილი იყო გდრ-ში.

სკოლის მოსწავლეები და სტუდენტები ვალდებული იყვნენ გამხდარიყვნენ ახალგაზრდული ორგანიზაციების წევრები: ახალგაზრდა პიონერების, გერმანიის თავისუფალი ახალგაზრდობის და ა.შ. მონაწილეობა უნდა მიეღოთ „Jugendweihe“-ში[28], იმ შემთხვევაში, თუ მათ სურდათ დაწინაურება სწავლაში, ან სამსახურში.[29]

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი აღმოსავლეთ გერმანული სკოლის იყო ის, რომ ყველა მოსწავლისთვის სავალდებული პირველ უცხო ენას წარმოადგენდა რუსული. ინგლისურის სტატუსი დაეცა, როგორც არასავალდებულო საგნის, რომლის არჩევაც სტუდენტებს შეეძლოთ მე-7 წლიდან. ხოლო როგორც ტოტალიტარული სახელმწიფოების უმეტეს ნაწილში, წინასაომარი წვრთნა სკოლებსა და უნივერსიტეტებში პროგრამის ნაწილს წარმოადგენდა. [30] უნივერსიტეტში ჩაბარების გზები და ასევე რუსული ენის დომინანტობა ნამდვილად წარმოადგენდა გდრ-ის

[26] David Phillips. Education in Germany, Tradition and reform in historical context, p: 265

[27] Stephanie Wilde. Secondary Education in Germany 1990-2000: 'One Decade of Non-Reform in UnifiedGerman Education'?, Oxford Review of Education, Vol. 28, No. 1 (Mar., 2002), pp. 39-51 ,p: 42,

[28] სოციალისტური ცერემონია, რომელიც ანაცვლებდა რელიგიურ სწავლებას და თვითონ რელიგიას.

[29] David Phillips. Education in Germany, Tradition and reform in historical context. p: 267

[30] David Phillips . Education in Germany, Tradition and reform in historical context. p: 266

სკოლის უარყოფით მხარეს. ეს მდგომარეობა ნამდვილად ზღუდავდა კონკრეტული მოსწავლის მოთხოვნებს.

მაგრამ ჩვენი კვლევის დროს, როდესაც გავეცანით ამ საკითხით დაინტერესებულ ავტორებს, ბევრი მათგანი აღნიშნავდა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სასკოლო სისტემა შეიძლება გაკრიტიკდეს მისი მეტისმეტად მკაცრი დისციპლინის გამო, მაგრამ სათანადოდ უნდა იქნეს დაფასებული მოსწავლეთა უმეტესობის მიერ მიღებული შედარებით მაღალი ხარისხის ცოდნა. საინტერესოა რამ გამოიწვია ესეთი შეფასება? ვფიქრობთ, რომ ამის მიზეზი იყო გარკვეული საგნების გაძლიერებული სწავლება, მაგალითად: მათემატიკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, თანამედროვე და კლასიკური ენები. საშუალო სკოლა მოწოდებული იყო უზრუნველყო ყველა ბავშვის მაღალი დონე ზოგადი განათლების მისაღებად.

დიდი ყურადღება ეთმობოდა ასევე უმცროსი კლასის (1-3 კლასები) მოსწავლეების მომზადებას გახანგრძლივებულ ჯგუფებში. XX საუკუნის 70-იანი წლებიდან, გახანგრძლივებული ჯგუფები მოიცავდა 1-4 კლასების მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 75%-ს, გახანგრძლივებულ ჯგუფებში ბავშვებს შეეძლოთ შეესრულებინათ საშინაო დავალება. მათთვის ორგანიზებული იყო სხვადასხვა მეცადინეობა: საბუნებისმეტყველო, ტექნიკური, სპორტული, ლიტერატურული და ა.შ. გარდა ამისა, მშობლებმაც იცოდნენ რომ მათი ბავშვები იყვნენ საიმედო ხელში. [31] რაც შეეხება სხვა საგნებს, ლიტერატურა, ხელოვნება,სიმღერა, მუსიკა გაერთიანებული იყო როგორც მხატვრულ-ესთეტიკური ციკლი. მაღალი იყო მოთხოვნა გდრ-ის საშუალო სკოლაში ფიზკულტურის გაკვეთილებისადმი, რადგან ეს საგანი შეტანილი იყო საგამოცდო პროგრამაში. აღნიშნული საგანი მოიცავდა: სირბილს 100 მ-ზე და გრძელ დისტანციაზე, სიმაღლეში ხტომებს, ბირთვის სტყორცნასა და სროლას. მაღალი სწავლების საფეხურზე (7 - 10 კლასები) ხდებოდა სისტემატური საგნობრივი სწავლება, სადაც ისწავლებოდა სახელმწიფომცოდნეობა, ასტრონომია და სოციალისტური წარმოების შესავალი. საგანი „შესავალი სოც. წარმოების“ ითვლებოდა გდრ-ის

[31] Полуянова Татьяна Александровна. დასახელებული ნაშრომი, გვ: 61, 62

საშუალო სკოლის პოლიტექნიკური სწავლების შემადგენელ ნაწილად. ამ კურსში შედიოდა სასწავლო მასალა-დანადგარისა და მანქანის ფუნქციის, მათი ექსპლუატაცია, პროდუქტის წარმოება, მატერიის ხარისხი და მათი გადამუშავება. ვფიქრობთ, ამ უკანასკნელი საგნის სწავლება საჭიროებას ნამდვილად არ წარმოადგენდა. კიდევ ერთი, პოლიტექნიკური სწავლების ფარგლებში 1986 წლიდან ისწავლებოდა ინფორმატიკა, ელექტროტექნიკა, მიკროკომპიუტერული ტექნიკა. გდრ-ის საშუალო სკოლაში ტარდებოდა ასევე საფაკულტეტო საგნები: ხელსაქმე 4-5 კლასებში, (1 სთ) და მეორე უცხო ენა მე-7 დან მე-10კლასების ჩათვლით (3 სთ კვირაში ყოველ კლასში). [32]

ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ გდრ-ის სკოლა მოსწავლეს ნამდვილად აძლევდა საგნობრივ მრავალფეროვნებას, მაგრამ თითოეული საგნის პროგრამა მკაცრად კონტროლირებადი იყო სახელმწიფოს მიერ. გარკვეული საგნები კი ნამდლივად პრაქტიკული მიზნებით იყო შეტანილი სკოლებში, ვგულისხმობთ ტექნიკური დანადგარების შესწავლას. ეს გამოწვეული იყო სწორედ იმით, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, მოსწავლეთა ძალიან მცირე პროცენტი აგრძელებდა სწავლას უმაღლეს სასწავლებლებში. უმეტეს ნაწილს კი პროფესიული კოლეჯების დამთავრება უწევდა. ეს უთანასწორობა იმდროინდელი გდრ-ის მმართველი წრეების პოლიტიკით იყო გამოწვეული. მაშინდელი სოციალისტური პარტია ხომ, მხოლოდ პრივილეგირებულ, არსებული რეჟიმისადმი კარგად განწყობილი ოჯახების მოსწავლეებს აძლევდა განათლების უმაღლეს საფეხურზე სწავლის შესაძლებლობას.

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, მასწავლებელთა მდგომარეობა გდრ-ში. სკოლის გარდაქმნასთან ერთად თავისთავად დაიწყო მასწავლებელთა გადამზადება. 1953 წელს მასწავლებელთა გადამზადების საბჭოთა მოდელთან შესაბამისი საფუძვლიანი რეორგანიზაცია მოხდა. 1959 წლიდან 1969 წლამდე სამი ტიპის მაწავლებლები იყვნენ წარმოდგენილი: 1) მასწავლებლები 1-დან 4 კლასებისათვის. მათ ამზადებდნენ პედაგოგიური განათლების ინსტიტუტებში, რომლებიც ტექნიკუმებს

[32] Полуянова Татьяна Александровна. დასახელებული ნაშრომი, გვ: 68

ენათესავებოდნენ. 2) სპეციალიზებული მასწავლებლები 5-დან 10 კლასებისათვის. ისინი გადიოდნენ 4 წლიან სასწავლო კურსებს პედაგოგიურ კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში. 3) სპეციალიზებული მასწავლებლები IX-დან XII კლასებისთვის და არასრული პროფესიონალური განათლების სკოლებისათვის. ისინი 5 წლიან სწავლებას გადიოდნენ უნივერსიტეტებსა და უმაღლეს ტექნიკურ დაწესებულებებში. [33]

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რგოლი სასკოლო სისტემის, მშობლები. აღმოსავლეთ გერმანიის სკოლები საკმაოდ აქტიურად თანამშრომლობდნენ მშობლებთან. მშობლები მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა სახის სასკოლო აქტივობებში. იყვნენ მშობლები, რომლებიც პასუხისმგებელნი იყვნენ სკოლის ძირითადი კანონების დაცვაზე, ის მშობლები კი, რომლებიც პირნათლად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას და ხელს უწყობდნენ სკოლის შინაგანაწესის დაცვას, ჯილდოვდებოდნენ პირველი, მეორე და მესამე ხარისხის მედლებით. ეს მათი ერთვგვარი წახალისების მცდელობად შეიძლება ჩაითვალოს.[34]

ამრიგად, ჩვენ ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ნამდვილად შეგვიძლია გამოვყოთ გდრ-ის სასკოლო სისტემის დადებითი და უარყოფითი მხარეები. უდავოა, რომ მკაცრად იყო ცენტრალიზებული ეს სისტემა. მუდმივი მონიტორინგის ქვეშ იყო მასწავლებელთა საქმიანობა, სასწავლო პროგრამების მკაცრი კონტროლირება და დოგმატურობა ნეგატიურ გავლენას ახდენდა სკოლაზე. მეორეს მხრივ, მოსწავლე საფუძვლიან ზოგად განათლებას იღებდა, რაც ნამდვილად დასაფასებელია, მაგრამ ეს ხდებოდა სოციალისტური რეჟიმის მკაცრი კონტროლის ქვეშ.

საბოლოო ჯამში ავღნიშნავთ, რომ სასკოლო სისტემის ჩამოყალიბება გდრ-ში დაიწყო ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მას შემდეგ რაც დასავლური და აღმოსავლური ზონები აღმოჩნდნენ დიდი სახელმწიფოების კონტროლის ქვეშ. XX საუკუნის 50- იანი წლებიდან ინტენსიური ხასიათი მიიღო სკოლის სტრუქტურის ჩამოყალიბებამ, საბოლოო ჯამში კი მიიღეს 10 წლიანი პოლიტექნიკური სკოლა, რომელიც ძირითად ბირთვად იქცა სასკოლო სისტემის და გახანგრძლივებული

[33] David Phillips. Education in Germany, Tradition and reform in historical context. p: 263, 264

[34] Полуянова Татьяна Александровна. დასახელებული ნაშრომი, გვ:64,65

საშუალო სკოლა, სადაც მოხვედრა როგორც უკვე ზემოთ ავღნიშნეთ არა მხოლოდ აკადემიურ, არამედ სოციალურ აქტივობაზეც იყო დამოკიდებული. ასეთი სახით მივიდა აღმოსავლეთ გერმანული სკოლა 80-იან წლებამდე, და პრინციპში არც მაშინ შეცვლილა რაიმე უშუალოდ სასკოლო სტრუქტურაში, გარდა სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებებისა. 1980 წლიდან სოციალისტურ სივრცეში დაიწყო ე.წ. „პერესტროიკა“ ანუ გარდაქმნა. საბჭოთა კავშირი განიცდიდა ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტაგნაციას. მნიშვნელოვნად შემცირდა გავლენა კონტროლირებად ქვეყნებზე. სწორედ ამ პერიოდში გაჟღერდა მოთხოვნები გერმანიის გაერთიანებასთან დაკავშირებით. მთელ რიგ მოთხოვნებთან ერთად, აღმოსავლეთ გერმანიის მოსახლეობამ ღიად გამოხატა სურვილი რათა მომხდარიყო განათლების სისტემის დემოკრატიზაცია. პროცესი შეუქცევადი აღმოჩნდა. 1989 წლის 9 ოქტომბერს, ლაიფციგში, დაიწყო მასშტაბური დემონსტრაციები, მოსახლეობა არსებულ რეჟიმს აპროტესტებდა, მალე მათ სხვა ქალაქებიც შეუერთდნენ. 18 ოქტომბერს ერიხ ჰონეკერი იძულებული გახდა გადამდგარიყო. ეს აქციები გაგრძელდა 9 ნოემბრამდე, ბერლინის კედლის დანგრევამდე. ფაქტობრივად ამ დღიდან იშლება ახალი ფურცელი გერმანიის ისტორიაში და იწყება კიდევ ერთხელ ახალი ეტაპი გერმანიის სასკოლო ცხოვრებაში.[35]

§1.3 გფრ-სა და გდრ-ის სასკოლო სისტემების შედარება, ძირითადი განსხვავებები

1949-1990 წლებში, გფრ-ის და გდრი-ს სასკოლო სტრუქტურების გაცნობის და გაანალიზების შემდეგ გამოიკვეთა მნიშვნელოვანი სხვაობები მათ სასკოლო სისტემებში.

ორ გერმანულ სახელმწიფოს შორის იმთავითვე მთავარი განსხვავება მათი სოციალურ-პოლიტიკური წყობა იყო, რომელიც განსაზღვრავდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში

[35] Marta Zawilska-Florczuk, Artur Ciechanowicz. One country, two societies? Germany twenty years after reunification, Warsaw,2011, p: 12

საგანმანათლებლო სფეროს მთავარი მიზნები და ღირებულებები ჩამოყალიბებული იყო 1949 წლის ძირითადი კანონით და „ლანდების“ კონსტიტუციით. მეორეს მხრივ, გდრ-ში მარქსისტულ-ლენინური სისტემა ბატონობდა სკოლაში. გდრ-ის ეს ინტერვენციონალისტური მიდგომა მკვეთრად განსხვავდება გფრ-ის ლიბერალური საგანმანათლებლო და ეკონომიკური პოლიტიკისაგან, რომელიც დიდწილად მხარს უჭერდა ომამდელი პერიოდის ინსტიტუციონალურ სტრუქტურას. გდრ-ს ხელმძღვანელობის მიერ გატარებული ერთ-ერთი ძირითადი რეფორმა განათლების საშუალო დონემდე უნივერსალიზაცია და ტრადიციული სამმხრივი სტრუქტურის მოსპობა იყო, რომელიც სტუდენტებს დაწყებითი სკოლის შემდეგ განაკუთვნებდა სხვადასხვა ტიპის საშუალო სკოლებში. ეს სამმხრივი სისტემა არსებობდა ომამდე, ხოლო შემდეგ გაბატონდა გფრ-ში. გდრ-ში იგი ჩაანაცვლა ზოგადი განათლების სკოლამ, Polytechnische Oberschule (POS), სადაც ბავშვები მხოლოდ მეათე კლასამდე სწავლობდნენ.[36]

ასე რომ, ბერლინის კედლით გამიჯნული ორი გერმანული სახელმწიფოს განათლების სისტემები განსხვავებული გზებით განვითარდა და ორი გერმანიის განათლების სფეროში მიმდინარე პროცესები ერთმანეთისგან სრულიად იყო დაშორიშორებული. *„გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა ესწრაფოდა აღედგინა გერმანიის საშუალო განათლების სისტემის ტრადიციული ფორმა თავისი შერჩევითი უმაღლესი და საშუალო სკოლების საშუალებით. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა კი უარყოფდა ყველაფერ იმას, რაც ბურჟუაზიულ ტრადიციონალიზმად მიაჩნდა და ავითარებდა ზოგადსაგანმანათლებლო, პოლიტექნიკური განათლების სისტემას.“* [37]

სტეფანი უაილდი[38] აღნიშნავს, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სასკოლო სისტემა შეიძლება გაკრიტიკდეს მისი მეტისმეტად მკაცრი დისციპლინის გამო,

[36] Wolfgang Mitter. Educational Reform in West and East Germany in European Perspective, Oxford Review of Education, Vol. 16, No. 3 (1990), pp. 333-341, p: 333, 334

[37] Stephanie Wilde. Secondary Education in Germany 1990-2000: 'One Decade of Non-Reform in UnifiedGerman Education? p: 5

[38] ოქსფორდის უნივერსიტეტის განათლების დეპარტამენტის მეცნიერებათა დოქტორი

მაგრამ სათანადოდ უნდა იქნეს დაფასებული მოსწავლეთა უმეტესობის მიერ მიღებული შედარებით მაღალი ხარისხის ცოდნა. ის ასევე აღნიშნავს მასწავლებელთა მიერ გაღებულ სოციალური წვლილის მნიშვნელობას, მეტადრე იმის გათვალისწინებით, რომ მოსწავლის ორივე მშობელი, როგორც წესი, სრულ განაკვეთზე მუშაობდა. თუმცა გფრ-ისგან განსხვავებით აქ მასწავლებლები მუდმივად დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდნენ, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავდა მათ საქმიანობას. [39] გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მასწავლებლებს გაცილებით მეტი თავისუფლება ჰქონდათ გაკვეთილის დასაგეგმად და გასაძღოლად, შეეძლოთ სასწავლო მასალებისა და მეთოდების უფრო ფართოდ გამოყენება განსხვავებით გდრ-ისგან, მაგრამ იყო ერთი მნიშვნელოვანი დეტალი. დასავლეთ ლანდებში სასწავლო პროგრამაში ცვლილების განხორციელებაზე პასუხისმგებლობა ლანდებს ეკისრებოდა. რაც შეეხება, გდრ-ს, აქ სასწავლო პროგრამები მკაცრად კონტროლირებადი იყო. ხშირი იყო რეგულარული მონიტორინგი სასწავლო პროგრამის. ასევე, გდრ-ში საშუალო სკოლის მაღალი კლასებისთვის მოსწავლეთა შერჩევა არა მხოლოდ მათ აკადემიურ მოსწრებაზე, არამედ სოციალურ წარმომავლობაზე იყო დამოკიდებული. სისტემა ავიწროებდა ბავშვებს მშობლების პოლიტიკური პოზიციისა და აქტიური სოციალური ცხოვრების მიხედვით. ეს ნიშნავდა იმას, რომ მოსწავლეები ან იმ მოსწავლეთა მშობლები, რომლებიც არსებული რეჟიმის მიმართ კრიტიკულად იყვნენ განწყობილი, გახანგრძლივებულ უმაღლეს სკოლაში მოხვედრის შანსი თითქმის არ ჰქონდათ. მაგალითად, პრობლემები ექმნებოდათ კლერიკალთა შვილებს, რადგან აღმოსავლეთ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია არ სწყალობდა მათ, ვისი მსოფლმხედველობაც მათსას არ ემთხვეოდა. [40] გდრ-ს ადმინისტრაციამ მიიღო მთელი რიგი ზომებისა, რომლებიც შემუშავდა საზოგადოების მშრომელი ფენის

[39] Stephanie Wilde. Secondary Education in Germany 1990-2000: One Decade of Non-Reform in UnifiedGerman Education? p: 6

[40] Stephanie Wilde. Secondary Education in Germany 1990-2000: 'One Decade of Non-Reform in UnifiedGerman Education'?, p: 42

ბავშვებისთვის საშუალო სკოლის მაღალ კლასებზე - Erweiterte Oberschule (EOS) წვდომის ხელშესაწყობად. [41]

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი არის ატესტატი, ე.წ. აბიტური. გდრ-მ წარმოადგინა რამდენიმე ალტერნატიული გზა, რომლითაც შესაძლებელი იყო აბიტურის მიღება, მათ შორის ორმაგი მოწინავე პროფესიული სწავლებითა (Berufsausbildung mit Abitur) და ეგრეთწოდებული მშრომელთა და ფერმერთა კოლეჯებით (Arbeiter-und-Bauern-Fakultäten). გფრ-ში კი ალტერნატიული გზები აბიტურის მოსაპოვებლად შედარებით იშვიათობას წარმოადგენდა, ხოლო საშუალო სკოლის მაღალ კლასებში დაშვება ძირითადად მასწავლებლის რეკომენდაციებსა და მშობელთა უპირატესობებს ეფუძნებოდა. ასევე, განმასხვავებელ ნიშნებს შორის, გვინდა დავასახელოთ ორი უცო ენა. ერთის მხრივ გფრ-ში 1964 წლამდე ინგლისური წარმოადგენდა პრივილეგირებულ უცხო ენას, ხოლო სოციალისტურ „ლანდებში“ რუსული. აქვე დამავატებთ, რომ გფრ-ის ძირითადი კანონის თანახმად, ქვეყანაში არსებობდა კერძო სკოლები, რომლებიც როგორც წესი ფასიანი იყო, გდრ-ში კი მსგავსი სკოლები დაუშვებელი იყო. [42]

რაც შეეხება საერთო ნიშნებს დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიას შორის. აქ მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ სასკოლო სტრუქტურებმა ჩამოყალიბებული სახე ორივე სახელმწიფოში , 1950-იან წლებში მიიღეს.

ამრიგად, გფრ-ში მივიღეთ მრავალმხრივი სასკოლო სისტემა, სხვადასხვა ტიპის სკოლები, რომლებიც ინდივიდუალურად ერგებოდა მოსწავლის მოთხოვნებსა და შესაძლებლობებს, ამავდროულად, პედაგოგები ფედერალურ მიწებზე სარგებლობდნენ მოქმედების თავისუფლებით, რა თქმა უნდა, კონსტიტუციური წესრიგის ფარგლებში, სახელმძღვანელოები და სასწავლო პროგრამები იყო მრავალფეროვანი და რომელიმე კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფის ინტერესებზე არ იყო მორგებული. განსხვავებით ამ მდგომარეობიდან, გდრ-ში ჩვენ ვხვდებით კარგად ორგანიზებულ

[41] Bastian Betthäuser. Educational inequality after state socialism: The effect of German unification revisited, University of Oxford, 2017, p: 8

[42] Markus Klein, Katherin Barg, Michael Kühhirt. Inequality of Educational Opportunity in East and West Germany: Convergence or Continued Differences?, Sociological Science 6: 1-26. 2018, p: 6

საშუალო სკოლას, მაგრამ ეს იყო სკოლა, სადაც მოსწავლეები და მასწავლებლები უნდა შეწყობოდნენ არსებულ პოლიტიკურ რეჟიმს. სამწუხაროდ, განათლების სისტემა, გერმანიის აღმოსავლეთ ნაწილში უფრო მეტად საზოგადოების დისციპლინირებასა და კონტროლზე იყო ორიენტირებული.

II თავი. გაერთიანებული გერმანიის საშუალო განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესები XX საუკუნის 90-იან წლებში

§ 2.1 სასკოლო განათლების სისტემის ცვლილება აღმოსავლეთ გერმანიაში

ერიხ ჰონეკერმა, 1989 წლის 7 ოქტომბერს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეორმოცე წლისთავის აღსანიშნავ ცერემონიაზე გამოსვლისას განაცხადა: *„ჩვენ კვლავ განვაგრძობთ ჩვენი რესპუბლიკის განვითარებისკენ მისწრაფებას სოციალისტურ სახელმწიფოების წევრ ქვეყნებში აღორძინების პოლიტიკის საშუალებით. ჩვენ არ დავკმაყოფილდებით აქამდე მოპოვებული მიღწევებით, მაგრამ დავიცავთ მათ. შევაბიჯებთ ერთიანი ეკონომიკური და სოციალისტური პოლიტიკის გზაზე.“* ეს სიტყვები არავის გააკვირვებდა რამდენიმე თვით ადრე, რომ თქმულიყო. 1989 წლის დასაწყისში აღმოსავლეთ გერმანია სტაბილური სახელმწიფო ჩანდა, რომელსაც არ ჰყავდა ორგანიზებული ოპოზიცია და არ ჰქონდა შიდა პარტიული გათიშვები. საგულდაგულოდ მომზადებული გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეორმოცე წლისთავის ზეიმი, სწორედ ამ სტაბილურობის დამტკიცებას ემსახურებოდა. თუმცა ჰონეკერის სიტყვამ ვერ მოახერხა აღმოსავლეთ გერმანიის მოქალაქეების დარწმუნება იმაში, რომ მათ ქვეყანას დასავლეთ გერმანიაზე მეტი უპირატესობა ჰქონდა. 1989 წლის მაისიდან აღმოსავლეთ გერმანიის მოსახლეობა დასავლეთში უნგრეთის, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის გზით გარბოდა. ცერემონიაში, სადაც ასევე მიხეილ გორბაჩოვიც მონაწილეობდა, უბრალოდ კიდევ ერთხელ გამოავლინა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელების ხელმოცარულობა. ოფიციალური დღესასწაულის მიმდინარეობისას ხალხი ქუჩებში გამოვიდა, თავდაპირველად მასშტაბური დემონსტრაციები დაიწყო ლაიფციგში, ლაიფციგის „ორშაბათის დემონსტრაციებმა“ ლოზუნგი: „ჩვენ ვართ ერი“ (Wir sind das Volk) ჩაანაცვლეს ლოზუნგით: „ჩვენ ვართ ერთიანი ერი“ (Wir sind ein Volk). 18 ოქტომბერს ჰონეკერი იძულებული გახდა გადამდგარიყო, ის შეცვალა ეგორ კრენცმა. მოვლენები

სწრაფად განვითარდა. 9 ნოემბერს ბერლინის კედლის დაცემა გახდა ცივი ომის დასრულებისა და გერმანიის გაერთიანების მთავარი მომენტი. 1990 წლის 3 ოქტომბერს გერმანია კანონიერად გაერთიანდა. იმავე წლის 2 დეკემბერს გერმანიის მთელმა ელექტორატმა აირჩია პირველი ერთიანი გერმანული ბუნდესტაგი.[43]

გერმანიის გაერთიანებამ 1990 წელს, გამოიწვია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების სისტემის მკვეთრი რეინტეგრაცია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან. პოლიტიკურ გაერთიანებას პოტენციურად მნიშვნელოვანი გავლენა უნდა მოეხდინა დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიის განათლების სისტემებზე, ისევე როგორც თავად ახალშობილ გაერთიანებულ გერმანიაზე. არსებული ვითარება გერმანიის საგანმანათლებლო სისტემაში რეფორმის გატარების უნიკალურ შესაძლებლობას იძლეოდა. თუმცა შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ გაერთიანებამ მხოლოდ აღმოსავლეთ გერმანიის საგანმანათლებლო სტრუქტურებზე იქონია გავლენა.[44] 1991 წლიდან დაწყებული აღმოსავლეთ გერმანიის მოსწავლეები იმავე ტიპის სკოლებში დადიოდნენ, როგორშიც დასავლეთ-გერმანელი თანატოლები.[45]

აღმოსავლეთი გერმანიის სკოლების, მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის დასავლეთის ფედერალური მიწების სისტემასთან შეთანწყობის პროცესი მათი უწინდელი სკოლების ინტენსიურ რესტრუქტურიზაციას ნიშნავდა, რაც მოიცავდა ცვლილებებს საშუალო განათლების გარე სტრუქტურებში, მრავალი სასკოლო საგნის პროგრამის შეცვლას, მათთვის შეფასებისა და გამოცდების ახალი ფორმების თავს მოხვევას, განსხვავებულ იურიდიულ შეზღუდვებსა და კოლექტივის შიგნით მომხდარ მნიშვნელოვან ცვლილებებს. თითოეულ ფედერალურ მხარეში ეს მეტ-ნაკლები ვარიაციებით ხდებოდა.

---

[43] Freunde und Feinde, Friedensgebete in Leipzig zwischen 1981 und dem 9. Oktober 1989, Herausgegeben von Christian Dietrich und Uwe Schwabe im Auftrag des „Archiv Bürgerbewegung e.V." Leipzig, 1994 p: 353

[44] Stephanie Wilde. Secondary Education in Germany 1990-2000: 'One Decade of Non-Reform in UnifiedGerman Education'? , p: 3

[45] Bastian Betthäuser. დასახელებული ნაშრომი, გვ: 10

დავიწყოთ სასკოლო სტრუქტურების შეცვლის იურიდიული და ფორმალური ასპექტებით. 1990 წლის 3 ოქტომბერს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაწილი გახდა კონსტიტუციის 23-ე მუხლის თანახმად. ცოტა ხნით ადრე, 1990 წლის აგვისტოში გდრ-ის სახალხო პარტიამ მოიწონა გერმანიის „შეთანხმება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის, გაერთიანებული გერმანიის აღდგენის შესახებ-ერთიანობის შეთანხმება“, შეთანხმების თანახმად ხუთ ახალ „ლანდში” უნდა მომხდარიყო სასკოლო განათლების სისტემის დარეგულირება. *„გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მიღებული ოფიციალურად აღიარებული სკოლა, პროფესიული ან უმაღლესი განათლების სერტიფიკატი ან ხარისხი უნდა გაგრძელდეს ამ ხელშეკრულების მე -3 მუხლით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე. ...“*[46]

გარდა ამისა, ახალ ფედერალურ სახელმწიფოებში ჩამოყალიბდა კულტურისა და განათლების სამინისტროები, მაგ: ბრანდენბურგის განათლების, ახალგაზრდობისა და სპორტის სამინისტრო (Ministerium für Bildung, Jugend und Sport des Landes Brandenburg), მეკლენბურგ-წინა პომერანიის კულტურის სამინისტრო ((Kultusministerium des Landes Mecklenburg-Vorpommern), საქსონიის კულტურის სამინისტრო (Sachsisches Staatsministerium fur Kultus), საქსონია-ანჰალტის კულტურის სამინისტრო და ტიურინგიის კულტურის სამინისტრო (Kultusministerium des Landes Sachsen-Anhalt, Thiiringer Kultusministerium), რომლებიც თავის მხრივ, 1990 წლის დეკემბერში გახდნენ ფედერალური მიწების განათლების მინისტრთა კონფერენციის წევრები. ზემოთ ჩამოთვლილ ინსტიტუციებს უნდა მოეწესრიგებინათ განათლების სისტემის ორგანიზაცია და დაერეგულირებინათ ძველ და ახალ მიწებს შორის სასკოლო სისტემისა და ატესტატის შეთავსება. [47]

1991 წლის მარტიდან ივლისის ჩათვლით პარლამენტის მიერ განიხილებოდა და მტკიცდებოდა ახალი კანონები სკოლების შესახებ. ცვლილებები პირველ რიგში შეეხებოდა ახალ ხუთ ფედერალურ მიწას: ტიურინგიას, მეკლენბურგ-წინა პომერანიას,

[46] Vertrag zwischen der Bundesrepublik Deutschland und der Deutschen Demokratischen Republik über die Herstellung der Einheit Deutschlands (Einigungsvertrag), Ausfertigungsdatum: 31.08.1990, 37 Art

[47] David Phillips. Education in Germany since unification, United Kingdom 2000, p: 265

საქსონიას, საქსონია-ანჰალტსა და ბრანდენბურგს. წინა თავში ჩვენ უკვე ვისაუბრეთ, თუ სკოლის რა სტრუქტურა არსებობდა ამ „ლანდებში“ 1990 წლამდე. ამჯერად, ჩამოვაყალიბებთ თუ რა სახით დამკვიდრდდა დასავლეთ გერმანიის ტრადიციული სტრუქტურები.

პირველი სკოლის კანონი მიღებულ იქნა ტიურინგიის მიერ, 1991 წლის 25 მარტს, „კანონი დროებითი განათლების შესახებ“, რომლის თანახმადაც ტიურინგიაში შეიქმნა შემდეგი ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები: ოთხ წლიანი დაწყებითი სკოლა (Grundschule), სადაც 1993 წლიდან გაიხსნა გახანგრძლივებული დღეების ჯგუფიც და იგი ამ ტიპის სკოლის შემადგენელ ნაწილად იქცა. მომდევნო საფეხური იყო ე.წ. Regelschule, ეს განსაკუთრებული ტიპის სკოლა იყო, რომელიც მხოლოდ ტიურინგიაში არსებობდა.[48] იგი დაარსდა 1991/92 სასწავლო წლის დასაწყისში და იგი იყო ჩვეულებრივი სკოლა 5-დან 9/10 კლასამდე. დიფერენცირება იწყებოდა 7 კლასიდან, რომლის საფუძველზეც მოსწავლეები Hauptschule ან Realschule დასრულების ატესტატს იღებდნენ. ორივე შემთხვევაში საბოლოო გამოცდის ჩაბარების შედეგად. გიმნაზია მოიცავდა V-XII სასწავლო საფეხურს. მათ შორის 3 წლიან მაღალ საფეხურს Realschule-დან მოსული აბიტურიენტებისთვის. [49]

1991 წლის 26 აპრილს მეკლენბურგ-წინა პომერანიამ მიიღო პირველი სასკოლო რეფორმის კანონი, რითაც განისაზღვრა ამ მიწის სასკოლო სისტემა. მეკლენბურგ-წინა პომერანია იყო ერთადერთი მხარე, რომელმაც დასავლეთ გერმანიის სკოლის ოთხივე მთავარი სახე დაამკვიდრა: დაწყებითი სკოლა (Die Grundschule), V და VI კლასები, რომლებიც იყო ერთგვარი საორიენტაციო დონე და მათ შემდეგ ხდებოდა გადასვლა დაბალ საშუალო სკოლაში (Hauptschule), სადაც სწავლა გრძელდება IX კლასის ჩათვლით. ამას მოსდევდა ე.წ. Realschule, საშუალო განათლების სკოლის კიდევ ერთი საფეხური, სადაც სწავლება X კლასის ჩათვლით მიმდინარეობდა, და ბოლოს

[48] ეს იყო სკოლის კიდევ ერთი ტიპი, როგორც Grundschule, Hauptschule, Realschule, Gesamtschule, Gymnasium, ანუ ზოგადსაგანამანათლებლო სკოლის ერთ-ერთი სახეობაა

[49] Martini, Renate. Schullandschaft im Umbruch. Gesetzliche Regelungen für das allgemeinbildende Schulwesen in den neuen Bundesländern, Frankfurt am Main : Deutsches Institut für Internationale Pädagogische Forschung 1992, 52 S., p: 50,51.

მოდიოდა უმაღლესი საშუალო სკოლა (Gymnasium), აქ უკვე სწავლა სავალდებულო იყო 12 კლასის ჩათვლით. [50] საორიენტაციო საფეხურის დასრულების შემდეგ მოსწავლეს შეეძლო შეეცვალა სკოლის ტიპი ან გაეგრძელებინა სწავლა ადრე არჩეული მიმართულებით. ამ ლანდში არსებობდა რამდენიმე ტიპის გიმნაზია, მაგ: ძველი ენების, ახალი ენების, ბუნება-მათემატიკის პროფილით, ასევე სპორტული და მუსიკალური გიმნაზია. აღსანიშნავია, რომ 2000 წლიდან უმაღლეს საშუალოს სკოლას დაემატა XIII კლასი, ამით ამ ფედერალურმა მიწამ შეასრულა ჰამბურგის შეთანხმების პირობა, რომელმაც 9 წლიანი სწავლა დაადგინა gymnasium ში.[51]

1991 წლის 3 ივლისს სკოლის კანონი მიღებულ იქნა საქსონიაში. საქსონიის სკოლის განათლების სისტემის საფუძვლად ითვლებოდა 4 წლიანი დაწყებითი სკოლა. 1991 წლის სკოლის კანონის თანახმად დაწყებით სკოლასთან ორგანიზებული უნდა ყოფილიყო გახანგრძლივებული და მოსამზადებელი ჯგუფები. დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ მოსწავლე სწავლას აგრძელებდა ე.წ. საორიენტაციო დონეზე, რომელიც V-VI კლასებს მოიცავდა, ხოლო VII კლასიდან კვალიფიკაციაზე დაფუძნებული დიფერენციაცია შემოდიოდა. საშუალო სკოლა შეიძლება რამდენიმე აქცენტის მიხედვით დაიყოს. არსებობდა ორი სხვადასხვა კურსი Hauptschule და Realschule-სთვის. Hauptschule-ს დასრულების ატესტატი 9 კლასის შემდეგ გაიცემოდა, ხოლო Realschule დასრულების ატესტატი - მეათე კლასის ბოლოს გამოცდის ჩაბარების შემდეგ. საშუალო სკოლის საბოლოო კურსი კი იყო ე.წ. Gymnasiumi - უმაღლესი საშუალო სკოლა, V-XII კლასები. გარდა ამისა საშუალო სკოლას აგრეთვე შეეძლო კონცენტრაცია მოეხდინა კონკრეტულ საგნებზე, როგორიცაა: ენები, მათემატიკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ხელოვნება, ტექნოლოგია და სპორტი.[52]

1991 წლის 11 ივლისით თარიღდება საქსონია-ანჰალტის სკოლის კანონი. რაც შეეხება საქსონია-ანჰალტს, აქაც დაწყებითი სკოლა (Grundschule) 4 წლიანი იყო. 1991

[50] Dieter Hölterhoff. Berufsbildende Schulen in den ostdeutschen Ländern am Neuanfang, Eine Untersuchung zum Transformationsprozess am Beispiel der Oberstufenzentren im Land Brandenburg in den 1990er Jahren, Potsdam-2017, p: 56

[51] Полуянова Татьяна Александровна. დასახელებული ნაშრომი, გვ: 40,41

[52] Martini, Renate. დასახელებული ნაშრომი, გვ: 43,44

წლის სკოლის კანონით გათვალისწინებულ იქნა გახანგრძლივებული ჯგუფის არსებობა, რაც მშობლების სურვილი იყო, თუმცა 1993 წლის ახალი სკოლის კანონით ეს ჯგუფი გაუქმდა. [53] ამას მოსდევდა საშუალო სკოლა, რომელიც სტრუქტურიზებული იყო შერეული შესაძლებლობების დონეზე (5 და 6 კლასები) და იცვლებოდა Hauptschule (7 დან 9/10 კლასბამდე) ან Realschule კურსით (7 დან 10კლასამდ). გიმნაზია შედგებოდა 5-12 კლასებისაგან, რომელთაგანაც ორწლიან მაღალ საფეხურს „course level" ეწოდება.[54] საქსონია-ანჰალტში მუშაობდა აგრეთვე 6 ეკოლოგიური სკოლა. ეს სკოლები ატარებდნენ მეცადინეობას ეკოლოგიაში, და ტრადიციული გაგებით ზოგადსაგანმანათებლო სკოლას არ წარმოადგენდნენ. საქსონია-ანჰალტში ასევე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის სპეციალური ტიპის 8 სკოლა იყო. [55]

გამონაკლისი შემთხვევა გვაქვს ბერლინისა და ბრანდენბურგის შემთხვევაში. ბერლინს რაც შეეხება, რადგან მას აქვს ლანდის სტატუსი, როგორც ჰამბურგსა და ბრემენს. ახალ გაერთიანებულ ქალაქში აღმოსავლეთის სკოლები თითქმის მთლიანად დაემსგავსა დასავლურ მოდელს, მაგრამ მისგან განსხვავებით 4 წლიანი დაწყებითი სკოლის ნაცვლად ჩამოყალიბდა 6 წლიანი დაწყებითი სკოლა. [56] ხოლო ბრანდენბურგზე ცალკე თავში გვექნება საუბარი.

ყურადღებას იქცევს სასკოლო კანონების დასახელებები. 1991 წლის სკოლის კანონების დასახელებაში ახალ ფედერალურ მიწებზე შესაძლოა შეგვხვდეს ისეთი სიტყვები, როგორიცაა „პირველი კანონი"(erstes Gesetz) ან „დროებითი კანონი"(vorläufiges Gesetz), რაც მიუთითებს მოქმედების დროებით ხასიათზე. ბუნებრივია, რომ მოგვიანებით მოხდა კანონებში გარკვეული სახის ცვლილებები და დამატებები. [57]

---

[53] Полуянова Татьяна Александровна. დასახელებული ნაშრომი, გვ: 144
[54] David phillips- Education in Germany, Tradition and reform in historical context, p: 268, 269
[55] Полуянова Татьяна Александровна. დასახელებული ნაშრომი, გვ;146, 147
[56] Susanne von Below, Justin J.W. Powell and Lance W. Roberts - Educational Systems and Rising Inequality: Eastern Germany after Unification, Sociology of Education, Vol. 86, No. 4 (OCTOBER 2013), pp. 362-375, p:4,5
[57] Полуянова Татьяна Александровна. დასახელებული ნაშრომი, გვ: 132

ახალმა ლანდებმა სავალდებულო განათლების დაწყება დააწესეს ჰამბურგის შეთანხმების საფუძველზე. ისევე, როგორც დასავლეთ გერმანიაში, განათლება ხუთ ახალ ლანდშიც სავალდებულო გახდა თითოეული ბავშვისთვის, რომელსაც 6 წელი შეუსრულდებოდა მიმდინარე წლის 30 ივნისისთვის. რეგულაციები სავალდებულო განათლების ხანგრძლივობის შესახებ სხვადასხვა ადგილას განსხვავებული სახით გვხვდება. მეკლენბურგ-დასავლეთ პომერანიაში, საქსონია-ანჰალტში, საქსონიასა და ტიურინგიაში დაკანონებული იყო 9 წლიანი სრული სასკოლო სწავლება, ხოლო ბრანდენბურგში- 10 წლიანი, რომელსაც მოსდევდა 3 წლიანი სავალდებულო დასწრება საღამოს პროფესიულ სკოლაში და იგი საღამოს სწავლების დასრულებამდე, ან 18 წლის შესრულებამდე გრძელდება.[58]

ტრადიციული სისტემისადმი მიბრუნების ეს პარადოქსი ერთგვარად ეხმიანება „Wende”-ს ცნებას. ეს სიტყვა ხშირად გამოიყენება 1989 წლის მოვლენების აღსაწერად. ეს სიტყვა პირდაპირი მნიშვნელობით ნიშნავს ბრუნს. აქ მინიშნებაა მოხვევაზე საპირისპირო მიმართულებით, იმ წერტილისკენ საიდანაც მოძრაობა დაიწყო.[59] ასე რომ, „Wende”-ს ცნება ესადაგება ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებების პროცესს. ბოლოს და ბოლოს, ეს ცვლილებები ხომ, სხვა არაფერია თუ არა დაბრუნება იმ სისტემასთან, რომელიც მეორე მსოფლიო ომამდე არსებობდა.

ამრიგად, უკვე 1991 წლისთვის, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაყოფის ოთხი ათწლეულის განმავლობაში განვითარებული სტრუქტურები გაუქმდა. ეს ნიშნავდა უნიტარული საშუალოს პოლიტექნიკური სკოლის გაუქმებას. საბოლოო ჯამში, ზემოთ მოყვანილი მონაცემებიდან გამომდინარე შეგვიძლია შევაჯამოთ და ვთქვათ, რომ განათლების სისტემას არ განუცდია რეფორმა, არამედ დასავლეთ გერმანიის სასკოლო სისტემის ასპექტები გადავიდა აღმოსავლეთის ფედერალურ მიწებზე. ახალი იდეები, რომელიც გაჩნდა 90-იანი წლებიდან, პოტენციური რეფორმების შესახებ მსჯელობის შესაძლებლობას იძლეოდა, როგორც აღმოსავლეთ ისე დასავლეთ

[58] David Phillips. Education in Germany since unification, p: 25
[59] David Phillips. Education in Germany since unification, p: 14, 15

გერმანიაში. მიუხედავად ამ ყველაფრისა, სასკოლო განათლებაში 1990-2000 წლებში მაინც დასავლეთ გერმანიის ტრადიციული სისტემა დომინირებდა. აღმოსავლეთ გერმანიაში მიმდინარე ცვლილებების პროცესი 90-იან წლებში, იყო ხელიდან გაშვებული შესაძლებლობა, რადგან იგი არ მოიცავდა ნამდვილ რეფორმებს.

§ 2.1.1-რელიგიური სწავლება

დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიაში რელიგიისადმი დამოკიდებულება გასხვავდებოდა არსებული პოლიტიკური რეჟიმიდან გამომდინარე. როგორც ცნობილია, დასავლეთის სახელმწიფოებისთვის ქრისტიანობა ერთ-ერთი დომინანტური რელიგია იყო და შესაბამისად მჭიდრო კავშირი ჰქონდა განათლების სისტემასთან, ხოლო საბჭოთა კავშირში და მის სატელიტ ქვეყნებში რელიგია კატეგორიულად იკრძალებოდა და მითუმეტეს არავითარი კავშირი არ ჰქონდა განათლების სისტემასთან და სკოლის აღსაზრდელებთან. გერმანიის გაერთიანებამ კი ახალი პოლიტიკური მოცემულობა შექმნა და მწვავედ დადგა რელიგიის სწავლების საკითხი სკოლებში.

ჯერ კიდევ 1949 წლის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის VII სტატიის III ნაწილის თანახმად, რელიგიური განათლება საჯარო სკოლებისთვის ჩვეულებრივ პროგრამულ ნაწილს წარმოადგენდა, თუმცა ძალდატანება სახელმწიფოს მხრიდან რელიგიურ სწავლებასთან დაკავშირებით არ გვხვდება, რადგანაც იმავე VII სტატიაში ვკითხულობით რომ მასწავლებელს არ უნდა დაეკისროს რელიგიის სწავლება თუ კი ეს მის სურვილს ეწინააღმდეგება და ასევე ძირითადი კანონი პატივს სცემს მშობლის სურვილს, რადგანაც VII სტატიის II ნაწილში ვკითხულობთ : *„მშობლებს უფლება აქვთ, განსაზღვრონ ბავშვის მონაწილეობა რელიგიურ განათლებაში.“* [60]

1945 წლის შემდეგ საბჭოთა ზონაში მდებარე სკოლებში აიკრძალა რელიგიური განათლების მიღება, ხოლო შემდგომ გდრ-შიც. ბუნებრივია გაერთიანების შემდეგ

[60] Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland. Ausfertigungsdatum: 23.05.1949, Ein Service des Bundesministeriums der Justiz und für Verbraucherschutz sowie des Bundesamts für Justiz – www.gesetze-im-internet.de, p: 3

რელიგიური სწავლება მწვავე დისკუსიების საგნად იქცა ხუთი ახალი ლანდისთვის. ეკლესიის როლი საგრძნობლად შემცირდა აღმოსავლეთ გერმანიის, ყოფილი გდრ-ის ტერიტორიაზე. ამის მიზეზი იყო აქ არსებული ტოტალიტარული მმართველობა ათწლეულების მანძილზე და სახელმწიფოს მიერ ათეისტური განათლების მიცემა ახალგაზრდებისთვის.

მრავალი დისკუსია გაიმართა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად შესაძლებელი იყო 1949 წლის ძირითადი კანონში, 141 მუხლში მოცემული „ბრემენის პუნქტის“ გავრცელება ახალ „ლანდებზეც“. აღნიშნული პუნქტით, ყველა სახელმწიფო სკოლაში რელიგიის სწავლება აუცილებელ კომპონენტს. ეს წინააღმდეგობაში მოდიოდა VII მუხლის, 3 პუნქტის, 1 შესწორებასთან, რომლის მიხედვითაც „ბრემენის პუნქტის“ გავრცელება შეუძლებელია იმ მიწებზე, სადაც 1949 წლის 1 იანვარს სხვა რეგულაცია ამოქმედდა. ეს მხოლოდ ბრემენსა და ბერლინს ეხება, სადაც ეკლესიები და რელიგიური თემები თავად არიან პასუხისმგებელი რელიგიური სწავლების უზრუნველყოფაზე. ბრემენის პუნქტი არ ვრცელდებოდა ახალ ფედერალურ მიწებზე. 1949 წლის 1 იანვარს სხვადასხვა ნორმატიული აქტები მიიღეს ბრანდენბურგში, მეკლენბურგში, საქსონიაში, საქსონია-ანჰალტსა და ტიურინგენში, მაგრამ ახალი „ლანდები“, გდრ-ის 1990 წლის კანონის საფუძველზე არ იყო იმ დროისთვის არსებული ტერიტორიების იდენტური. გარდა ამისა, თავად მოსწავლეებს შეეძლოთ 14 წლის ასაკიდან გადაეწყვიტათ დასწრებოდნენ თუ არა რელიგიის გაკვეთილებს, ამას საფუძვლად ედო 1921 წლის რაიხის „კანონი ბავშვთა რელიგიური აღზრდის თაობაზე“. რელიგიური სწავლების განახლებას საჯარო სკოლებში ართულებდა 90- იან წლებში მასწავლებელთა სიმცირე. სასკოლო კანონთა დადგენილების მიხედვით რელიგიური სწავლება, ან ეთიკა (იმ ბავშვებისთვის, რომლებიც არ მონაწილეობენ რელიგიურ სწავლებაში) სავალდებულო საგანია. ბრანდენბურგმა საბოლოო რეგულაციის უფლება დაუტოვა კანონს სასკოლო განათლების შესახებ. გარკვეული დრო დასჭირდა, რომ თითოეულ სკოლაში მომზადებულ მასწავლებლებს შესაბამის დონეზე გაძღოლოდნენ რელიგიური სწავლებას. დღეისათის აუცილებელია საბაზისო დონეზე

მაინც გაცნობა რელიგიის და რელიგიის ისტორია, რადგან მის გარეშე შეუძლებელია გერმანიის ისტორიისა და გერმანელების ევროპული აწმყოს გააზრება.

§ 2.2 ბრანდენბურგის მიერ არჩეული განსხვავებული გზა

ბრანდენბურგი 1949 წლიდან 1990 წლამდე წარმოადგენდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაწილს. ბრანდენბურგის ამჟამინდელი სახელმწიფო 1990 წლის 3 ოქტომბერს გერმანიის გაერთიანების შემდეგ შეიქმნა. მოცემულ თავში ცალკე განვიხილავთ ამ მიწის სასკოლო სტრუქტურას. გერმანიის განათლების სისტემით დაინტერესებული მეცნიერები, ყოველთვის ხაზს უსვამენ ამ მიწის სკოლის განსხვავებულ ტიპს. საინტერესოა რით გამოიწვია ამ კონკრეტულმა „ლანდმა“ ასეთი ინტერესი? გერმანიის გაერთიანების შემდეგ ჩატარებულ პირველ არჩევნებში, ერთადერთი ფედერალური მიწა იყო, რომელმაც აირჩია მემარცხენე-ცენტრისტული მთავრობა გერმანიის სოციალურ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობით და სასკოლო სისტემა დასავლეთ გერმანული სტანდარტებისგან განსხვავებულად მოაწყო.[61]

წინა პარაგრაფში ჩვენ უკვე ავღნიშნეთ, რომ საშუალო პოლიტექნიკური სკოლა აღმოსავლეთ გერმანიის ხუთივე ფედერალურ მიწაში ჩანაცვლდა დასავლეთის ფედერალური მხარეების ტრადიციული სამსახოვანი სკოლების ოდნავ სახეცვლილი ანალოგებით.

რაც შეეხება უშუალოდ ამ ფედერალურ მიწაზე განხორციელებულ ცვლილებებს 90-იან წლებში. პირველ რიგში, აღსანიშნავია სასკოლო რეფორმის კანონი, რომელიც 1991 წლის 28 მაისს მიიღეს. სკოლის კანონით ყველა ახალგაზრდას უფლება ჰქონდა მიეღო სასკოლო განათლება, შესაძლებლობები, სურვილები და ასევე მშობლების ნება განსაზღვრავდა ბავშვის განათლებას. მოსწავლეები თავისუფალნი იყვნენ სასკოლო ტიპის არჩევაში, რადგან ეს დამოკიდებული იყო სოციალურ და ეკომონიკურ მდგომარეობაზე. 1992 წელს კი ამ „ლანდში“ მიიღეს კონსტიტუცია, სადაც ასევე ასახული იყო ძირითადი საგანმანათლებლო მიზნები. კერძოდ, კონსტიტუცია ნათლად

[61] Dieter Hölterhoff. დასახელებული ნაშრომი, გვ:55

განსაზღვრავდა ძირითად საგანმანათლებლო დებულებებს და აღზრდის მიზნებს, ის შეიცავს ისეთ საკითხებს როგორიცაა მზადყოფნა სოციალური აქტივობისთვის, კანონის უზენაესობის, დამოუკიდებლობის, თავისუფლების პრინციპებისა და გარემოს დაცვის საკითხებს. სკოლა პატივს სცემს განსხვავებული შეხედულებების პოლიტიკური თუ იდეოლოგიური განსხვავებით მოსწავლეებს და კრძალავს რაიმე სახით დისკრიმინაციას.[62]

1990 წლის შემდეგ, განსხვავებით სხვა ფედერალური მიწებისგან, ბრანდენბურგმა 6 წლიანი დაწყებითი სკოლა შემოიტანა. აქვე უნდა ითქვას, რომ არც ერთ ფედერალურ მხარეს არ გააჩნდა ამგვარი სისტემა, გარდა ბერლინისა. ასევე, დაწყებით სკოლასთან ფუნქციონირებდა გახანგრძლივებული დღეების ჯგუფი. დაწყებით სკოლაში ასწავლიდნენ ისეთ საგნებს, როგორიცაა უცხო ენა, ბიოლოგია, ფიზიკა, ტექნიკა , ისტორია, გეოგრაფია, პოლიტიკური განათლება, თუმცა ამ საგნებით სწავლება V –VI კლასებიდან იწყებოდა. გერმანული ენა და ბუნებისმეტყველება ისწავლებოდა I-II კლასებში. ასევე ამავე კლასებში მიმდინარეობდა მუსიკის, ხელოვნებისა და სპორტის გაკვეთილები. მოსწავლეებისათვის, რომელიც ვერ ეწეოდნენ სასწავლო პროგრამას მათთვის დამატებითი მეცადინეობები ტარდებოდა (2 სთ კვირაში, I-IV კლასებში). ე.წ. გახანგრძლივებული ჯგუფები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ დაწყებითი კლასებისთვის, ამ ჯგუფების არსებობა მშობლების მოთხოვნითაც იყო განპირობებული.[63]

უნდა აღინიშნოს, ბრანდენბურგის სკოლის კიდევ ერთი მახასიათებელი იყო ის რომ მას არ გააჩნდა საორიენტაციო დონე (V-VI), განსხვავებით სხვა ფედერალური მიწებისაგან. სასკოლო სტრუქტურაში იყო სამი სახის სკოლა: 1) „Gesamtschule“, ეს სიტყვა პირდაპირ ყოვლისმომცველი სკოლით ითარგმნება. 2) Gymnasium, უმაღლესი საშუალო სკოლა, 3) Realschule, საშუალო სკოლის კიდევ ერთი ტიპი. დეტალურად რომ განვიხილოთ. პირველ მათგანს , რაც შეეხება. ჩვენ ამ ტიპის სკოლაზე პირველ თავში ვისაუბრეთ. ეს იყო საერთო სკოლა, რომელიც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში

[62] Dieter Hölterhoff. დასახელებული ნაშრომი, გვ: 57, 58
[63] Martini, Renate. დასახელებული ნაშრომი, გვ: 38, 39

XX საუკუნის 70-იანი წლებიდან შეიქმნა და მისი დაარსების ინიციატორად სოციალ-დემოკრატიული პარტია გამოვიდა. ასე რომ, შემთხვევითი არ არის „Gesamtschule“-ის სკოლის დამკვიდრება ბრანდენბურგში. მოსწავლე ირჩევდა VII სასწავლო წლიდან. შეეძლო ესწავლა ამ ტიპის სკოლაში IX კლასის ჩათვლით და შემდეგ სწავლა გაეგრძელებინა პროფესიულ სასწავლებელში. „Realschule”-ში სწავლა VII-X კლასებით განისაზღვრებოდა. მისი დამთავრების შემდეგ მიღებული კვალიფიკაცია უფრო ფართო არჩევანს სთავაზობდა მოსწავლეს სამომავლო განათლების მხრივ. კერძოდ, პროფესიულ ან უმაღლეს სასწავლებლში გაგრძელების შესაძლებლობას იძლეოდა. რაც შეეხება, „Gymnasium” –ს, სწავლა XII კლასის ჩათვლით აუცილებელი იყო და უმაღლეს სასწავლებელში შესვლის ატესტატს სწორედ ეს სკოლა გასცემდა. 2000 წელს ბრანდენბურგმა, ჰამბურგის შეთანხმება შეასრულა და ამ სკოლაში 13 წლიანი სწავლა დაკანონდა. ასეთი იყო ბრანდენბურგის სკოლის სტრუქტურა 1990-2000 წლებში. პირველი საგანმანათლებლო პოლიტიკის ფაზა დასრულდა 1996 წელს ბრანდენბურგის განათლების აქტის მიღებით. [64]

ბრანდერბურგის სკოლის კიდევ ერთი მახასიათებელი იყო ის, რომ განსხვავებით აღმოსავლეთ გერმანიის სხვა მიწებისგან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო პარტნიორი ქვეყნების სასკოლო სტრუქტურების მიმართ ძლიერი ორიენტირი. ასევე მნიშვნელოვანია, ამ „ლანდში“ გერმანულ-სერბული რაიონის სკოლის ვითარება. 1991 წლის სკოლის რეფორმის კანონით, გერმანულ-სერბულ კვარტალში მშობლების სურვილი იქნა გათვალისწინებული, მათ სურდათ რომ ბავშვებს განათლება მიეღოთ სერბიულ ენაზე, რაც ნებადართული იყო.[65]

საბოლოო ჯამში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბრანდენბურგის სასკოლო სისტემაზე გავლენა პარტიულმა პოლიტიკამ იქონია, რადგან ეს იყო ერთადერთი ფედერალური მიწა, რომელმაც გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ ფორმირებული მთავრობა აირჩია. სოციალ-დემოკრატიული პარტია კი თავის მხრივ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სისტემის მომხრე იყო. ასე რომ, ყოფილი გდრ-ის

[64] Martini, Renate. დასახელებული ნაშრომი, გვ: 38, 39
[65] Martini, Renate. დასახელებული ნაშრომი, გვ: 32

„ლანდებიდან“ ბრანდენბურგი სასკოლო სტრუქტურის მხრივ გამორჩეული იყო 90- იანი წლებიდანვე.

§ 2.3 მასწავლებლების მდგომარეობა გერმანიის გაერთიანების შემდეგ

მასწავლებლებმა პირველებმა იწვნიეს გაერთიანების პოლიტიკური პროცესის უარყოფითი შედეგები. აღმოსავლეთ გერმანიაში პედაგოგთა კვალიფიკაცია და გამოცდილება სასწორზე აღმოჩნდა და მათ თავიანთი სამუშაო ადგილების დაკარგვის შიში გაუჩნდათ. მას შემდეგაც კი, რაც პოლიტიკური „ტვირთით დამძიმებული“ მასწავლებლების გასათავისუფლებლად მიღებულ იქნა ზომები, იმ მასწავლებლებს, რომელთაც სამუშაო ადგილები შეინარჩუნეს, ეჭვის თვალით უყურებდნენ. პედაგოგებს დაეუფლათ გაურკვევლობის შეგრძნება, რაც განპირობებული იყო მათი ადრეული გამოცდილების საყოველთაო გაკიცხვით. ეს გამოიხატებოდა იმაში, რომ ბრანდენბურგში მასწავლებლებს სისტემატიურად დაბალ ხელფასს უხდიდნენ, 1998-1999 წლებში პედაგოგები ამ მიწაზე დასავლეთ გერმანიის მასწავლებლების მთელი ხელფასის მხოლოდ 86,5%-ს იღებდნენ. [66] ამას დაემატა ისიც, რომ 1990 წლიდან შობადობის მკვეთრმა შემცირებამ განაპირობა სკოლების დახურვა, მასწავლებლებისთის სამუშაო ადგილების არასტაბილურობა და მრავალი მოსწავლის (განსაკუთრებით კი სოფლებში მცხოვრები) სიარული დიდ მანძლზე.[67]

1990 წლიდან პედაგოგთა წინაშე იყო მნიშვნელოვანი გამოწვევები, ისინი უნდა მომზადებულიყვნენ, რათა მორგებოდნენ ახალი სკოლის სტრუქტურას. 1991 წლიდან დაიწყო ინტენსიური მუშაობა მასწავლებელთა გადასამზადებლად აღმოსავლეთ ფედერალურ მიწებზე. მეცნიერთა საბჭომ 1991 წლის 5 ივლისს დეტალური რეკომენდაციები მიიღო მასწავლებელთა გადამზადების შესახებ. ლოთარ დე მეზიერის მთავრობამ გაერთიანების შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება და შემოიღეს პედაგოგთა ორ-ეტაპიანი ტრენინგი. დასავლეთ-გერმანული მოდელის ანალოგიურად,

[66] David Phillips. Education in Germany since Unification, p: 38
[67] Stephanie Wilde. Secondary Education in Germany 1990-2000: 'One Decade of Non-Reform in UnifiedGerman Education'? p: 12

მასწავლებელთა პირველ გამოცდას მოჰყვა კვალიფიკაციის ამაღლება, რომელიც მეორე სახელმწიფო გამოცდით უნდა დასრულებულიყო. [68]

1993 წლის 5 ოქტომბერს, განათლების მინისტრთა კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც ეხებოდა მასწავლებელთა გადამზადებას, გადაწყდა პედაგოგებს ორ ეტაპად გაევლოთ გადამზადებები, იმ დროისათვის დაწყებითი კლასების მასწავლებელთა გადამზადება მასწავლებელთა ტრენინგის დაწესებულებებიდან ამოიღეს და უნივერსიტეტებში დანერგეს. ბადენ-ვუტემბერგსა და ტიურინგიაში შეიქმნა სპეციალური კურსები საგანმანათლებლო კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში, სადაც ხდებოდა მასწავლებელთა გადამზადება დაწყებითი კლასებისა და „Hauptschule"-სთვის. მსგავსი კურსები იყო ასევე ბერლინში, საქსონიაში, ბრემენში, ჰამბურგში და ა.შ. ტრენინგები შეიცავდა თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს. ამრიგად, XX საუკუნის 90-იან წლებში შემუშავდა კურსები, მასწავლებელთა გადამზადებისთვის მოწვეული პროფესორებისა და ახლად დანიშნული მასწავლებლების დახმარებით. [69]

ამ გარდამავალ პერიოდში, განსაკუთრებით რუსული ენის პედაგოგები დაზარალდნენ, რადგან რუსულის, როგორც სავალდებულო საგნის გაკვეთილები გაუქმდა. პარალელურად კი გაიზარდა მოთხოვნა ინგლისურისა და ფრანგულის მიმართულებით.[70]

მიუხედავად მასწავლებელთა გადამზადებისა, მაინც მოხდა მასწავლებელთა დათხოვნა. პირველ რიგში, დაზარებულთა შორის უპირველეს ყოვლისა პოლიტიკურად კომპრომეტირებული მასწავლებლები გვხვდება. ასევე პიონერთა ლიდერები და სამოქალაქო საგნის მასწავლებლები. მასწავლებლები მათ დათხოვნას პირველ რიგში „პოლიტიკურ წმენდას" მიაწერდნენ. ამგვარად, 90 -იან წლებში, დაახლოებით 30 0000- მდე მასწავლებელი დაითხოვეს ყოფილი გდრ-ის ტერიტორიაზე. მაგალითად, საქსონიამ 1991 წლის მიწურულისთვის 300000

[68] Christoph Fuhr. დასახელებული ნაშრომი, გვ: 209, 210
[69] Christoph Fuhr. დასახელებული ნაშრომი, გვ: 212
[70] Ulrich Steffens. Schulqualitätsdiskussion in Deutschland ihre Entwicklung im Überblick. Frankfurt/M. 2007. p: 18, 19

მასწავლებლიდან 10 000 მასწავლებლის დათხოვნას გეგმავდა. ბრანდენბურგმა სხვა კურსი აირჩია. გადაწყვიტა რაც შეიძლება მეტი მასწავლებელი დაეტოვებინა თავის თანამდებობებზე. განათლებისა და მეცნიერების პროფესიულმა კავშირმა და მასწავლებელთა სხვა ასოციააციებმა მიაღწიეს სავალდებულო გაკვეთილებისა და ყველა მასწავლებლის ანაზღაურების 20%-ით შემცირების შეთანხმებას. ბრანდენბურგმა 34 500 მასწავლებლიდან მხოლოდ 700 დაითხოვა, ხოლო მოგვიანებით 3800 მათგანმა საკუთარი ნებით დატოვა თანამდებობა. [71]

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აღმოსავლეთ გერმანიაში სასწავლო პროგრამების დოგმატურობას, მასწავლებელთა რეგულარულ მონიტორინგებს წერტილი დაესვა. პედაგოგებს მეტი თავისუფლება მიეცათ გაკვეთილის დასაგეგმად და გასაძღოლად. მათ დღეს უკვე შეუძლიათ სასწავლო მასალებისა და მეთოდების ფართო სპექტრის გამოყენება. ეს პოზიტიური შედეგები გერმანიის გაერთიანებამ მოიტანა.

III თავი. რეფორმების შედეგები

§ 3.1 განათლების რეფორმათა ფინანსური კონტექსტი

1990 წელს გერმანიის გაერთიანებამ თავისთავად გამოიწვია ორი განსხვავებული ეკონომიკური სისტემის გაერთიანება, სოციალისტურის და კაპიტალისტურის. აღმოსავლეთ გერმანიის კაპიტალმა სრული დევალვაცია განიცადა. ამ რეგიონში ეკონომიკის ხელახალი აღდგენა უნდა მომხდარიყო. 90-იან წლებში არასტაბილური ფინანსური მდგომარეობა იყო ერთ-ერთი, რაც განათლების რეფორმების ფართოდ გატარებას ზღუდავდა. გაერთიანების შემდეგ ფინანსურ დატვირთვას ძირითადად დასავლეთ გერმანული მიწები განიცდიდა. მაგალითად, 1991 წელს აღმოსავლეთ გერმანიამ 125 მილიარდი გერმანული მარკის ღირებულების წმინდა ტრანსფერი მიიღო დასავლეთ გერმანიის სახელმწიფო ბიუჯეტისგან. მომდევნო წლებში მისი რაოდენობა იზრდებოდა. 1990-1994 წლებში 145 მილიარდი გერმანული მარკა იქნა გამოყოფილი „გერმანიის გაერთიანებული ფონდის მიერ“. ფინანსურ სფეროში მიმდინარე პროცესები

[71] David Phillips. Education in Germany since unification, p: 269

მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენდა ქვეყნის საერთო ბიუჯეტზე და შესაბამისად განათლების სისტემაზე. ეს უკანასკნელი კი როგორ ვხედავთ, ძირითადად დასავლეთ მიწების შემოსავლებით ფინანსდებოდა.[72]

აღსანიშნავია, თუ რა ცვლილებები გამოიწვია სკოლებში, 90-იანი წლების არასახარბიელო ფინანსურმა მდგომარეობამ. პირველ რიგში, მთავრობამ შეიმუშავა რეგულაციები, რომელიც შეეხებოდა მასწავლებელთა სამუშაო დროის გახანგრძლივებას, ასევე შემცირდა პედაგოგთა რიცხვი, ასაკოვანი მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის ხარჯზე. მიმდინარე მოვლენებმა, მასწავლებელთა და მშობელთა პროტესტი გამოიწვია. სკოლებში მასწავლებლის საკლასო მეცადინეობას მეტისმეტად დიდი დრო მიჰქონდა და სკოლის არაეფექტური მუშაობის გამო ადამიანური რესურსები იკარგებოდა. ზემოთ აღნიშნულმა მდგომარეობამ, გამოავლინა გერმანული დიფერენცირებული სასკოლო სიტემის ძირითადი პრობლემა. როგორც უკვე წინა თავებში განვიხილეთ, ქვეყანაში სხვადასხვა ტიპის კონკურენტი სკოლები არსებობს საშუალო საფეხურზე- V-X კლასები. ფინანსურმა მდგომარეობამ 90-იან წლებში განსაკუთრებით დააზარალა „Hauptschule" -ეები. კერძოდ, ქალაქის პირობებში ამ სკოლას არ აღმოაჩნდა სათანადო მხარდაჭერა. ამის გამომწვევი მიზეზი იყო ის, რომ სხვა ტიპის საშუალო სკოლები, როგორიც არის „Realschule" ან „ Gymnasium"-ი, მოსწავლეს გაცილებით ფართო ზოგად განათლებას სთავაზობდნენ. ისედაც რთულ ფინანსურ სიტუაციას დაემატა გერმანიის ისტორიისთვის უპრეცედენტო დემოგრაფიული ცვლილებები. კერძოდ, 1989 წლიდან 1992 წლამდე შობადობის მაჩვენებელი აღმოსავლეთ გერმანიაში 200,000 დან დაახლოებით 80,000-მდე შემცირდა, რამაც გამოიწვია სკოლების დახურვა. ამრიგად, საშუალო საფეხურზე, როცა სხვადასხვა ტიპის სკოლას ერთმანეთისთვის კონკურენციის გაწევა უხდებათ, მუდმივად შემიცირებულ მოსწავლეთა რიცხვის პირობებში, ისინი საფრთხის ქვეშ აღმოჩნდნენ.

[72] Markus Klein, Katherin Barg, Michael Kühhirt. Inequality of Educational Opportunity in East and West Germany: Convergence or Continued Differences. p: 18, 19

ამის პირველი მაგალითი იყო „Hauptschule”-ები, რომლებიც დღეს უმეტესობა ფედერალურ მიწებზე აღარც კი არსებობს. [73]

შექმნილმა დემოგრაფიულმა გარემომ შეამცირა ახალი „ლანდების“ ბიუჯეტი სასკოლო განათლებაზე. ამავდროულად, პოლიტიკური დღის წესრიგში ისევ დადგა სამ საფეხურიანი სისტემის შეცვლის საკითხი. საზოგადოების ნაწილი კვლავ აქტიურად უჭერდა მხარს საერთო სკოლების რაოდენობის ზრდას. ამას დაემატა, კერძო საკონსულტაციო ფირმის „Kienbaum Expert Report“ მიერ შედგენილი ანგარიში, ჩრდილოეთი რაინ-ვესტფალიის სასკოლო სისტემის მდგომარეობის შესახებ, რომელმაც სერიოზული ნაკლოვანებები აღმოაჩინა ამ მხარის სასკოლო სისტემაში.[74]

შეჯამების მიზნით შესაძლებელია ითქვას, რომ 1990-2000 წლებში გაერთიანებული გერმანიის ფინანსური მდგომაროება არ უზრუნველყოფდა ხელსაყრელ პირობებს განათლების რეფორმებისთვის და მისი ეფექტურად წარმართვისთვის. საგანმანათლებლო ორგანოები უწინდებურად ვეღარ დაამყარებდნენ იმედებს განათლების სფეროს ბიუჯეტის გაზრდაზე. ამასობაში კი, განათლების სისტემის შესახებ გამართული დისკუსიები ერთ ადგილს ტკეპნიდა.

§ 3.2. რა შეიცვალა 1990 წლიდან? სოციალური, საგანმანათლებლო ასპექტები

ჩვენ უკვე ვისაუბრეთ, სასკოლო სტრუქტურის ცვლილებებზე ახალ ფედერალურ „ლანდებში“. ამჯერად, განვიხილავთ სასკოლო განათლებასთან დაკავშირებულ სხვა საყურადღებო დეტალებს. ორი გერმანული სახელმწიფოს თანაარსებობამ, რომლებსაც თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში სრულიად განსხვავებული ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემები ჰქონდათ, ერთმანეთისგან განსხვავებული ოჯახური მოდელების, ღირებულებათა სისტემების, თავისუფალი დროის გატარების ჩვეულებებისა და შრომითი ეთიკის ჩამოყალიბება გამოიწვია. 1990 წელს გაერთიანების

[73] Mitter, Wolfgang; Weiß, Manfred. Educational Transformations in a "United" Germany. Jacobson, Stephen L. [Hrsg.]: Reforming education. The emerging systemic approach. Thousand Oaks, Calif. Corwin 1993, S. 209-227. p: 220

[74]Mitter, Wolfgang; Weiß, Manfred. დასახელებული ნაშრომი, გვ: 222

პროცესის შემუშავებისა და განხორციელების დროს პოლიტიკოსებმა ყურადღება პირველ რიგში აღმოსავლეთ გერმანიის პოლიტიკური, ადმინისტრაციული, საგანმანათლებლო და ეკონომიკური ინსტიტუტების დასავლური სტანდარტებისთვის მორგებაზე გაამახვილეს.[75]

პირველ რიგში აღსანიშნავია, აღმოსავლეთი გერმანიის სკოლების სასწავლო პროგრამები, რომლებმაც ყველაზე მნიშვნელოვანი რეფორმები 1990 წლის შემდეგ განიცადა. წარსულს ჩაბარდა სამხედრო სწავლებები, სამოქალაქო განათლება, „თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის" სავალდებულო წევრობა. რუსული, როგორც უპირველესი უცხო ენის პრივილეგირებულობა დასრულდა. ბოლო ცვლილებამ, განაპირობა ინგლისურსა და ფრანგულზე მოთხოვნის გაფართოება. ამგვარად ამ ცვლილებამ მკვეთრად შეამცირა მოთხოვნა მასწავლებლების მიერ რუსული ენის სწავლებაზე. მკვეთრი სხვაობა შეინიშნებოდა დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანულ სასკოლო სილაბუსებს შორის. გფრ-ში სილაბუსები უპირატესად ორიენტირებულნი იყვნენ სწავლების მეთოდებზე, მიზნად ისახავდა მოსწავლეებში დამოუკიდებელი აზროვნების ჩამოყალიბებას და სწავლის სტიმულირებას. ეს საერთო ორიენტაცია უპირისპირდებოდა აღმოსავლეთ გერმანიის სასკოლო სისტემას, რადგან გდრ-ის სკოლა ორიენტირებული იყო ავტორიტარული სტილით სწავლებაზე. რაც შეეხება სახელმძღვანელოებს, აღმოსავლეთი გერმანიის მიწებს დასავლეთიდან წიგნების ნიაღვარი მოაწყდა. გასაღების ახალ ბაზარს დახარბებული გამომცემლების მხრიდან მრავლად იყო მერკანტელური ქცევის შემთხვევები, თუმცა წიგნების ამ მასაში გამოერეოდა დახმარების გულწრფელი სურვილით გამოცემული ეგზემპლარებიც. აქვე ავღნიშნავთ, რომ XX საუკუნის 90 -იან წლებში ზოგიერთი სასწავლო საგანი ე.წ. „დროებითი პრინციპის" მიხედვით ისწავლებოდა. რაც თავისთავად საგნის სწავლების დროებით ხასიათზე მეტყველებს. გაერთიანების პირველი ათწლეული გარდამავალი პერიოდი იყო გერმანული

[75] Marta Zawilska-Florczuk, Artur Ciechanowicz . დასახელებული ნაშრომი, გვ: 35

სკოლისთვის. შესაბამისად, სტაბილური მდგომარეობა ვერ იქნებოდა სასკოლო სისტემის სფეროში. [76]

ასევე, გერმანიის განათლების სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა საკითხს, უნდა გაევლოთ თუ არა მოსწავლეებს თორმეწლიანი ან ცამეტწლიანი კურსი უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად. გაერთიანების პროცესმა ერთგვარად შესაძლებელი გახადა დარეგულირებულიყო ეს ვითარება. რეფორმის განხორციელება ითვალისწინებდა დასავლეთ გერმანული სკოლების მსგავსად აღმოსავლეთ გერმანული სკოლების თორმეტწლიან ნორმაზე გადაყვანას. გაერთიანებამდეც, დამსაქმებელთა ასოციაციები და ეკონომისტები ამტკიცებდნენ, რომ ახალგაზრდები ზედმეტად დიდხანს დადიან სკოლაში, რაც არაეფექტურია და იმავდროულად ეკონომიკურად ზიანის მომტანიც. ამას, კიდევ უფრო ამწვავებდა გერმანიის საუნივერსიტეტო განათლების საშუალო ხანგრძლივობის შედარებითი გრძელვადიანობა.

სწავლის ხანგრძლივობის პრობლემა 1990-2000 წლებში სადაო საკითხი იყო. ბრანდენბურგმა სწავლის ცამეტწლიანი კურსი აირჩია, რათა ბერლინისთვის ფეხი აეწყო. აღმოსავლეთ გერმანიის დანარჩენმა მიწებმა თავიდანვე დასავლეთ გერმანიის რეფორმატორების მიერ მისაღებ გამოცდებამდე გაწერილი თორმეტწლიანი სასკოლო კურსი შეინარჩუნეს. კიდევ ერთი მახასიათებელი, 90-იანი წლების გერმანული სკოლის, იყო ის, რომ შემცირდა მოსწავლეთა რაოდენობა. ეს გამოწვეული იყო 1990 წლიდან შობადობის კლებით, რამაც თავის მხრივ სკოლების დახურვაც გამოიწვია.[77]

აღსანიშნავია, ორენოვანი პროგრამების დანერგვა. 1978 წლიდან განათლების მინისტრთა კონფერენციამ რამდენჯერმე ისაუბრა ამ საკითხთან დაკავშირებით. ორენოვანი განათლების მიზანი იყო ევროპელი პარტნიორების ენების კარგად ცოდნა. უფრო მეტი გაკვეთილი ეძღვნებოდა, როგორც წესი პირველ უცხო ენას, რომელიც გამოიყენებოდა სამეცნიერო და ჰუმანიტარული მეცნიერებების სწავლებისთვის. ორენოვანი სწავლება იწყებოდა, როგორც წესი V წელს, მთავარი უცხო ენით.

[76] David Phillips. Education in Germany since unification. p:10

[77] Stephanie Wilde. Secondary Education in Germany 1990-2000: 'One Decade of Non-Reform in Unified German Education'? p: 13

ორენოვანი კურსი (მშობლიური ენის ჩათვლით) საშუალებას აძლევდა მოსწავლესა და სტუდენტს გამოემუღავნებინა მეტი შესაძლებლობები, ასევე ხელს უწყობდა ინტერკულტურული ურთიერთობის და გაცვლითი პროგრამების გაფართოებას. 1991/92 წლებში მთელი ქვეყნის მასშტაბით არსებობდა 127 ორენოვანი კურსი: 67 გერმანულ-ინგლისური, 52 გერმანული-ფრანგული, 3 გერმანულ-რუსული, 2 გერმანულ-ჰოლანდიური, 1 გერმანულ-ესპანური და 1 გერმანულ-იტალიური. ამასთან, ეს რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა შემდგომ წლებში. ორენოვანი გერმანულ-ფრანგული კურსები 11 „ლანდში" იყო ხელმისაწვდომი. ბადენ-ვიურტემბერგის შვიდ გიმნაზიაში, ოთხი ბავარიაში, ბერლინის სამი გიმნაზია და ორი დაწყებითი სკოლა, ასევე ჰამბურგის 4 გიმნაზიაში, ჰესეში, ქვემო საქსონიაში, ჩრილოეთ რაინ- ვესტფალიაში, რაინლანდ-პფალცში, ზაარლენდში და ტიურინგიაში. ასეთი სკოლების სულ რამდენიმე წელში 74-ით გაიზარდა. ასევე, მოხდა დანერგვა სწავლების სხვადასხვა სტილის, სკოლები აღიჭურვა კომპიუტერებით. ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა გერმანელი პოლიტიკოსი იურგენ რუტგერსი, რომელმაც მოკლედ დროში გერმანულ ტელეკომთან ერთად მოახერხა და 10.000-მდე გერმანული სკოლა აღჭურვა ინტერნეტითა და კომპიუტერებით (ალბათ სწორედ ამიტომაც უწოდებდნენ მას „მომავლის მინისტრს"). [78]

რაც შეეხება სახელმწიფო და კერძო სკოლებს. გერმენიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დღემდე ლომის წილი სახელმწიფო სკოლებზე მოდის. თუმცა პარალელურად არსებობს და არსებობდა კერძო სკოლებიც, რომლებიც როგორც წესი ფასიანია. 1994 წლისთვის 2,082 კერძო სკოლა ფიქსირდებოდა. აღსანიშნავია, რომ ეს რიცხვი 1990 წლიდან გაიზარდა, რადგან გაერთიანებამდე გერმანიის აღმოსავლეთ ნაწილში კერძო სკოლები არ იყო დაშვებული. როგორც წესი, ამ სკოლებს საკუთარი პედაგოგიური კონცეფციები ჰქონდათ და სასწავლო პროცესისადმი ინდივიდუალურ მიდგომებს იყენებდნენ. აქ მოსწავლეები სწავლობდნენ ორ და მეტ უცხო ენას, დამოუკიდებლად ირჩევდნენ საგნებს. სასწავლო პროგრამა ძირითად და ინტენსიურ კურსებად იყოფოდა. გამოსაშვები გამოცდების ჩასაბარებლად ანუ „Abitur"-ის ასაღებად

[78] Christoph Fuhr- დასახელებული ნაშრომი, გვ: 77

კერძო სკოლის მოსწავლეს ფრიადზე უნდა შეესწავლა ორი საგანი ორი ინტენსიური კურსიდან და შვიდიდან ათამდე საგანი ორი ძირითადი კურსიდან. გარდა სასწავლო პროგრამებისა, კერძო სკოლებში იყო უცხო ენების კურსები, კლუბები ინტერესების მიხედვით, სპორტული სექციები. კერძოთა რიცხვს განეკუთვნება, მაგ: მონტესორისა და ვალდორფის სკოლები. კერძო სკოლებს განეკუთვნებოდა ასევე კათოლიკური სკოლები, რომლებიც განსაკუთრებით ძლიერად იყო წარმოდგენილი ჩრდილოეთ რაინ- ვესტფალიაში, ბავარიაში და ბადენ -ვიურტემბერგში. 18 ასეთი სკოლა დაარსდა 90-იან წლებში ახალ „ლანდებშიც“ . ებრაული კერძო სკოლები არსებობდა აგრეთვე მაინის ფრანკპურტსა და ბერლინში.[79]

ამავდროულად, გერმანიაში 90-იან წლებში არსებობდა 10 სხვადასხვა ტიპის სპეციალური სკოლა:

- სკოლები უსინათლოთათვის
- სკოლები სუსტი მსმენელებისთვის
- სკოლები მეტყველების დარღვევასთან დაკავშირებით
- სკოლები ფიზიკური დეფექტის ბავშვებისთვის
- სკოლები ძნელად აღსაზრდელებისთვის

1996 წელს გერმანიაში 3410 სპეციალური სკოლა ფიქსირდებოდა. [80]

ამრიგად, 90-იანი წლების გერმანულ სკოლაში მრავალფეროვანი ცვლილებები მიმდინარეობდა, რაც ძირითადად აღმოსავლეთ მიწებზე აისახებოდა. დასავლეთ გერმანიაში ნამდვილად არ მომხდარა რაიმე მკვეთრი საგანმანათლებლო ცვლილებები 1990 წლიდან. აღმოსავლეთ გერმანიის სკოლები კი უამრავ პრობლემას აწყდებოდნენ თავიანთი ორიენტაციის თვალსაზრისით განათლების სფეროში. ზემოთ აღნიშნული საკითხები, იყო პოზიტიური ცვლილებები, რადგანაც იმ დროის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოდიოდა. ტექნიკური პროგრესი 90-იან წლებში თვალშისაცემი იყო და არც გერმანული სკოლა უნდა ჩამორჩენოდა ამ პროცესებს. მართებულად იქნა, უგულებელყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის

[79] Christoph Fuhr- დასახელებული ნაშრომი, გვ: 171, 173
[80] David Phillips. Education in germany since unification, p:20

პედაგოგიკის იდეოლოგიური და პარტიულობაზე ორიენტირებული ასპექტები. მაგრამ ამ ყველაფერს თან ახლდა მნიშვნელოვანი სირთულეები. მოცემულ ათწლეულში სტუდენტებს უწევდათ გადაელახათ თავიანთი გადაწყვეტილების მიღების შინაგანი შიში. პოლიტიკურ და სოციალურ რეალობებს შორის არსებული დისონანსი აფერხებდა განათლების სფეროში მიმდინარე მოვლენების ერთიანად აღქმას. გაერთიანებული გერმანული სკოლა სერიოზული გამოწვევების წინაშე იდგა. სასკოლო განათლების გარე და შინაგანი ცვლილებები, მათზე მორგება იყო ყოფილი გდრ-ის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის მთავარი ამოცანა.

§ 3.3. თანამედროვე გერმანული სკოლა

თანამედროვე მსოფლიოში, განათლების სისტემაში გერმანიას გამორჩეული ადგილი უჭირავს. გერმანული სკოლა საკმაოდ მრავალფეროვანია. ეს ზრდის კონკურენციას სხვადასხვა ტიპის სკოლებს შორის. საბოლოოდ კი ვიღებთ განათლების მაღალ ხარისხს. ამ ევროპულ ქვეყანას დიდი სირთულეების გამოვლა მოუხდა სასურველი შედეგების მისაღწევად. სოციალ-პოლიტიკური მოვლენების განვითარებასთან ერთად იცვლებოდა სასკოლო სტრუქტურები, საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიმდინარეობდა სოციალური ცვლილებები, იცვლებოდა სკოლის გარე და შიდა სისტემები. გერმანულმა სკოლამ ღირსეულად გაართვა თავი ისტორიულად განვითარებულ პროცესებს. თავი დააღწია დოგმატურ, ავტორიტარული სწავლების მეთოდებს და დღეს დემოკრატიულ საწყისებზე დაფუძნებული სკოლა აქვს. დღესდღეობით გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სასკოლო სტრუქტურა მნიშვნელოვნად არ არის შეცვლილი. თუმცა, აღსანიშნავია, რომ საერთო სკოლა წარმატებით იქცა სკოლის მეოთხე ტიპად სამსახოვან სისტემაში. ჩვენ ამ სკოლაზე წინა თავებში უკვე გვქონდა საუბარი.

საინტერესოა, რომ ბოლო რამდენიმე წელში გერმანიაში საერთაშორისო სკოლებიც მომრავლდა, რომლებიც ძირითადად ინგლისურ ენოვანი პროგრამებით არის წარმოდგენილი. მათგან აღსანიშნავია, JFK -ის სახელობის ბერლინის საერთაშორისო სკოლა, რომლის ფორმირება ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის

დროს დაიწყო ამერიკის მთავრობის მიერ. დღეს ეს სკოლა დიდი პოპულარობით სარგებლობს და ძირითადად გერმანიასა და ამერიკას შორის კულტურული ურთიერთობების დაცვას ემსახურება.[81]

ჩვენ, საკითხის, კვლევისას ყურადღება გავამახვილეთ რელიგიურ სწავლებაზე 90-იან წლებში. საინტერესოა დღეს რა ვითარებაა ამ მხრივ. დღემდე რელიგიის გაკვეთილები, გერმანიის კონსტიტუციის თანახმად სავალდებულოა გარკვეულ ასაკამდე. საჯარო სკოლებში ძირითადად კათოლიკე და პროტესტანტი მოსწავლეებისათვის არის შედგენილი რელიგიის პროგრამა. თუმცა ზოგიერთი „ლანდს“ ებრაელ მოსწავლეებზეც აქვთ გათვლილი ეს საგანი. ამავდროულად, თანამედროვე გერმანული სკოლის განხილვისას გვერდს ვერ ავუვლით მიგრანტთა თემას. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში გერმანიაში საგრძნობლად გაიზარდა მიგრანტთა რაოდენობა. განსაკუთრებით 2015-2016 წლის ძლიერი მიგრაციის შემდეგ. მათ შორის კი ბევრია ისლამური რელიგიის მატარებელი. ამან გარკვეული სირთულეები წარმოშვა გერმანული სკოლისთვის. კერძოდ, არც ერთ ფედერალური მიწაზე არ ხდება მუსლიმანი ბავშვებისთვის ისლამის რელიგიის სწავლება. არ არსებობს ჯერჯერობით რაიმე კურსები, რომლებიც შესთავაზებს რელიგიის სწავლების პროგრამას მათთვის გასაგებ ენაზე. გერმანიაში თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვი იზრდება. ეთნიკური სხვაობა კი მრავალფეროვანია, მიგრანტთა შორისაა სირიის, ავღანეთის, ერაყის მოსახლეობა. ხშირია მიგრაცია ალბანეთიდან და სერბეთიდან ასევე. ეს გულისხმობს, არაგერმანულ ენოვანი ბავშვების შესვლას გერმანულ სკოლებში. ამ ეტაპზე, გერმანიისთვის სწორედ ეს საკითხია პრობლემური. დიდი რაოდენობით მიგრანტები და ის რომ მათთვის მოხდეს შესაბამისი საგანმანათლებლო შეთავაზებების შემუშავება.[82]

---

[81] Bildung in Deutschland 2018. Ein indikatorengestützter Bericht mit einer Analyse zu Wirkungen und Erträgen von Bildung, Gefördert mit Mitteln der Ständigen Konferenz der Kultusminister der Länder in der Bundesrepublik Deutschland und des Bundesministeriums für Bildung und Forschung, 2018. P: 30

[82] Bildung in Deutschland 2018. Ein indikatorengestützter Bericht mit einer Analyse zu Wirkungen und Erträgen von Bildung, Gefördert mit Mitteln der Ständigen Konferenz der Kultusminister der Länder in der Bundesrepublik Deutschland und des Bundesministeriums für Bildung und Forschung, 2018. p: 25, 26

ამრიგად, თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობის ზრდამ შეცვალა გერმანიის სოციალ-ეკონომიკური სტრუქტურები. რამაც თავისთავად წარმოშვა ახალი გამოწვევები განათლების სისტემაში. ამჟამად, საჭიროა კვალიფიციური კადრების მომზადება, რომლებიც შესაბამის ენობრივ პროგრამებს მიაწვდიან არაგერმანულ ენოვან ბავშვებს. რა თქმა უნდა, აღმოსავლურ ენებზე გაიზრდება მოთხოვნა. გერმანიის სკოლას მოუწევს მოვლენების განვითარების შესაბამისად, დაგეგმოს რეგულარული მონიტორინგი, სწრაფი რეაგირება მოადინოს სასწავლო პროგრამების შემუშავებაზე. ვფიქრობთ, რომ თუ მიგრაციული პროცესების შეჩერების დარეგულირება ვერ მოხდება, გერმანულ საშუალო სკოლას აუცილებლად მოუწევს ადაპტირებული სახლმძღვანელოების და სასწავლო პროგრამების შემუშავება. მეტიც საშუალო განათლება არ იქნება ერთადერთი საფეხური, რომელსაც მიმდინარე დემოგრაფიული ცვლილებები შეეხება. ასევე სკოლამდელი აღზრდა, უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებზეც გაიზრდება მოთხოვენები, რათა ხელმისაწვდომი გახდეს მათი პროგრამები.

დასკვნა

1990 წელს გერმანიის გაერთიანებამ განაპირობა, აღმოსავლეთ გერმანიის მიერ ჩამოყალიბებული განათლების სისტემის უარყოფა. განათლების ზოგად სურათზე მთელი ათი წლის განმავლობაში დასავლეთ გერმანიის ტრადიციული საშუალო განათლების სტრუქტურა დომინირებდა. ბრანდენბურგში, საქსონიაში, საქსონია-ანჰალტში, მეკლენბურგ-დასავლეთ პომერანიასა და ტიურინგიაში პოლიტექნიკური სკოლები გაუქმდა. მის მაგივრად ახალ ფედერაციულ მიწებზე მივიღეთ სკოლის შემდეგი სახეები: Gymnasium-ი, Hauptschule, Realschule. ამავდროულად, 90-იან წლებში ყოფილი გდრ-ის ტერიტორიაზე გავრცელდა კერძო სკოლებიც. მიიღეს ახალი სასწავლო პროგრამები და შესაბამისად სახელმძღვანელოები, მაგრამ ეს ახალი იყო ზემოთ ხსენებული „ლანდებისთვის“ და არა დასავლეთ გერმანული მიწებისთვის. ეს ნიშნავდა, რომ მათ უწევდათ დასავლურ სასკოლო ნორმებთან მისადაგება.

გარდა ამისა, ჩვენ ვსაუბრობთ ათწლეულზე, როდესაც ახალგაზრდა თაობა, მასწავლებლები, მშობლები, ახალი რეალობის, გამოწვევების წინაშე დადგნენ. 90-იანი წლები ერთგვარი თვითგამორკვევის პერიოდად შეიძლება ჩაითვალოს. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ეს პერიოდი წარმოადგენდა ორად გახლეჩილი ერის ხალახალ გაცნობას. ხშირ შემთხვევაში ორ გერმანულ საზოგადოებას შორის კონტაქტი კულტურული შოკით სრულდებოდა. ამიტომ რთული იყო აღმოსავლეთ გერმანიაში მცხოვრები მოსახლეობისთვის გადართვა ცხოვრების ახალ მოდელზე. გადასალახავი იყო გაურკვევლობის შეგრძნება, რომელიც დაეუფლა ამ პერიოდის ახალგაზრდობასა და მასწავლებლებს. მათ წინაშე სკოლის მრავალფეროვანი ტიპები წარმოიშვა. გაერთიანების შემდგომ არსებული გერმანული სკოლა, აღმოსავლეთ გერმანელ მოსწავლეებს სთავაზობდა ინდივიდუალურ განვითარებას, გადაწყვეტილებების მიღებას შიშის გარეშე. მასწავლებლებს თავისუფალ სამუშაო გარემოს, გაკვეთილების დასაგეგმად მეტ დროსა და ინტერპრეტაციის საშუალებას.

ამავდროულად უნდა აღინიშნოს, ორი გერმანული სახელმწიფოს გაერთიანებამდე, გდრ-ში ყველა მოსწავლეს თანაბრად არ შეეძლო უმაღლეს

სასწავლებელში სწავლის გაგრძელება. მნიშვნელოვნად იზღუდებოდა იმ მოსწავლეთა უფლებები, რომლებიც არ იზიარებდნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მსოფლმხედველობას და არსებული რეჟიმის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ფაქტობრივად, მათთვის განათლების უმაღლესი საფეხურის კარები დაკეტილი იყო. 1990 წლიდან, სოციალისტური რეჟიმის სრული კოლაფსის შემდეგ, აღნიშნული უთანასწორობა აღმოიფხვრა და უნივერსიტეტში მოხვედრა აღარ წარმოადგენდა გარკვეული ჯგუფების პრივილეგიას. მეტიც, იმჟამინდელი სკოლა საშუალებას აძლევდა ბავშვს სურვილისა და შესაძლებლობების მიხედვით აერჩია სკოლის ტიპი დაწყებითი საფეხურის დასრულების შემდეგ.

ამრიგად, 90-იან წლებში, დასავლეთ გერმანული სასკოლო სისტემა უცვლელი სახით შენარჩუნდა, ხოლო აღმოსავლეთ ფედერალურ მიწებში განხორციელებული ცვლილებები წარმოადგენდა საგანმანათლებლო სტრუქტურების აღდგენას, რომელიც ჯერ კიდევ ვაიმარის რესპუბლიკის დროიდან დამკვიდრდდა. დასავლურ გერმანულ სასკოლო მოდელთან ადაპტირება გახდა იმ დროისთის მთავარი მოთხოვნა. 1990-2000 წლებში გერმანიაში, სასკოლო განათლებაში მიმდინარე პროცესები კონცენტრირებული იყო ცალკეული და შიდა სკოლების განვითარებაზე, დოგმატური სწავლების დაძლევაზე და სკოლის ახალ დემოკრატიულ საწყისებზე გადაყვანაზე.

ბიბლიოგრაფია

წყაროები

1. Freunde und Feinde: Dokumente zu den Friedensgebeten in Leipzig zwischen 1981 und dem 9. Oktober 1989 / hrsg. von Christian Dietrich und Uwe Schwabe im Auftr. des „Archiv Bürgerbewegung e.V." Leipzig. Mit einem Vorw. von Harald Wagner. - Leipzig : Evang. Verl.-Anst., 1994.
2. Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland. Ausfertigungsdatum: 23.05.1949. Ein Service des Bundesministeriums der Justiz und für Verbraucherschutz sowie des Bundesamts für Justiz – www.gesetze-im-internet.de
3. Verfassung der Deutschen Demokratischen Republik, 7. Oktober 1949. http://1000dok.digitale-sammlungen.de/dok_0232_ddr.pdf Datum: 23. Juli 2018 um 23:27:41 Uhr CEST. © BSB München
4. Vertrag zwischen der Bundesrepublik Deutschland und der Deutschen Demokratischen Republik über die Herstellung der Einheit Deutschlands (Einigungsvertrag). Ausfertigungsdatum: 31.08.1990 . Ein Service des Bundesministeriums der Justiz und für Verbraucherschutz sowie des Bundesamts für Justiz – www.gesetze-im-internet.de

სამეცნიერო ლიტერატურა

5. Bastian Betthäuser - Educational inequality after state socialism: The effect of German unification revisited. Department of social policy and intervention. UK, 2017.
6. Christel Kesler - Educational Stratification and Social Change: Evidence from German Unification. European Sociological Review, Vol. 19, No. 5 (Dec., 2003), pp. 467-482. https://www.jstor.org/stable/3559535.
7. Christoph Fuhr- The German education system since 1945. Bonn, 1997.
8. David Phillips - Education in Germany,Tradition and reform in historical context.London and New York, 1995.
9. David Phillips – Education in Germany since unification. United Kingdom, 2000.
10. John Lewin Gaddis – The Cold war. A new history. New York, 2005.
11. Marta Zawilska- Florczuk, Artur Ciechanowicz – One country, two societies? Germany twenty years after reunification. Warsaw, 2011.
12. Markus Klein, Katherin Barg, Michael Kühhirt - Inequality of Educational Opportunity in East and West Germany: Convergence or Continued Differences?. Sociological Science 6: 1-26. 2018. www.sociologicalscience.com

13. Stephanie Wilde - Secondary Education in Germany 1990-2000: 'One Decade of Non-Reform in Unified German Education'?, Oxford Review of Education, Vol. 28, No. 1 (Mar., 2002), pp. 39-51. https://www.jstor.org/stable/1050750

14. Susanne von Below, Justin J.W. Powell and Lance W. Roberts - Educational Systems and Rising Inequality: Eastern Germany after Unification. Sociology of Education, Vol. 86, No. 4 (OCTOBER 2013), pp. 362-375. https://www.jstor.org/stable/43186791

15. Wolfgang Mitter - Educational Reform in West and East Germany in European Perspective. Oxford Review of Education, Vol. 16, No. 3 (1990), pp. 333-341. https://www.jstor.org/stable/1050524

16. Wolfgang Mitter, Manfred Weis - Educational Transformations in a "United" Germany. Jacobson, Stephen L. [Hrsg.]: Reforming education. The emerging systemic approach. Thousand Oaks, Calif. : Corwin 1993, S. 209-227.

17. Bildung in Deutschland 2018 - Ein indikatorengestützter Bericht mit einer Analyse zu Wirkungen und Erträgen von Bildung, Gefördert mit Mitteln der Ständigen Konferenz der Kultusminister der Länder in der Bundesrepublik Deutschland und des Bundesministeriums für Bildung und Forschung. 2018.

18. Dieter Hölterhoff - Berufsbildende Schulen in den ostdeutschen Ländern am Neuanfang Eine Untersuchung zum Transformationsprozess am Beispiel der Oberstufenzentren im Land Brandenburg in den 1990er Jahren. Dissertation zur Erlangung des akademischen Grades des Doktors der Wirtschafts- und Sozialwissenschaften an der Universität Potsdam. 2013. http://opus.kobv.de/ubp/volltexte/2014/6957/

19. Martini, Renate - Schullandschaft im Umbruch. Gesetzliche Regelungen für das allgemeinbildende Schulwesen in den neuen Bundesländern. Frankfurt am Main : Deutsches Institut für Internationale Pädagogische Forschung 1992, 52 S.

20. Ulrich Steffens - Schulqualitätsdiskussion in Deutschland ihre Entwicklung im Überblick. Frankfurt/M. 2007.

21. Полуянова Татьяна Александровна- Становление и развитие системы школьного образования образования обьединенной Германии. Диссертация на соискание ученой степени кандидата педагогических наук, Ульяновск 2002.